



გაზეთი გაეოღის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N26 (9170)

21 სექტემბერი, 2015 წელი

ფასი 50 თეთრი

ღვთისმშობლის უოზას გილოცავთ!

ულჯევის სტრიქონ-სტრიქონ საჩითხავად გეხდინებოდა იწყება!

4



ვის
აღარ
ვივარტათ,
სად
აღარ
ღავრეკეთ?!

2

5



გვ-15 სკოლას განათლებისა და
მეცნიერების საინისტრუქტორებთან
ხელშეწყობა ავტომატური
მოპირდა

“ვისი, თქვენ
სამტრედიის
განმარტებთ:
ამ აშენდება...”

2

ვიღე
ზამთარი
კანს
მეგვარება



“ღვთისმშობლის
მსოფლიო”

3

6

ხუთიდან
ანგამეგვრული
ფუნქციონირების
შახსი



ვიდეო ხაზიანი კარს მივხვალა

ადრიანი შემოდგომის ცხელ დღეებს სხვადასხვა პროექტების დაფინანსებით შესასრულებელი სამუშაოებისათვის იყენებენ სამტრედიამ.

ამას წინათ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია, გამგებლის მოადგილე როსტომ თავაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებს ეწვევიან და ადგილზე გაეცნენ მიმდინარე სამუშაოებს.

გომის თემში, სოფელ მთისძირში ხდება 1400 გრძივი მეტრი არხის რეაბილიტაცია, მდინარე კაპიტონზე ნაპირსამაგრი სამუშაოები წარმოებს, ტოლების თემში, ქორეისუბანში წყლის სისტემის აღდგენა-განახლების სამუშაოები განაღებულა, გამოჩინებულა, ზანდოს წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში გაზიფიცირება მიმდინარეობს.

სწორედ ამ სოფლებს ეწვევიან მუნიციპალიტეტის თავაკაცები, გაესაუბრენ ადგილობრივებს და თავად გაეცნენ ადგილზე არსებულ ვითარებას.

ჯერ კიდევ მიმდინარე და უკვე შესრულებული სამუშაოების ხარისხით კმაყოფილი არიან ადგილობრივები, მოსახლეობა და მუნიციპალიტეტის თავაკაცებიც. როგორც ამას წინათ ვიწვევბოდით, ააიპ "ინვესტიციებისა და პუბლიკური პროექტების გაერთიანებამ" სამტრედიის მუნიციპალიტეტში, შესაბამისი კატეგორიის ადამიანებისათვის, ეტლები, მშრალი საკვების და ჰიგიენის საშუალებების ამანათები შემოიტანა, პუბლიკური ტვირთის გადმოცემის მეორე ეტაპი 10 სექტემბერს მოხდა.

ამანათები სათნოების სახლის ბინადართა და ინგლუზიური განათლების საჭიროების მქონეთა დღის ცენტრ "ლამპარის" ბენეფიციარებს, ბატონებმა ვალერიანე ფოცხვერიამ, კობა ძიძიგურმა, როსტომ თავაძემ გადასცეს და სამომავლოდაც თანადგომა და ყურადღება აღუთქვას მათ.

ბატონი გიორგი ატაშვილის უწყების მიერ გადაღებული ეს ნაბიჯი ერთგვარად არ გახლავთ, როგორც გვითხრეს, ოქტომბერ-ნოემბერში ეს ორგანიზაცია ამერიკიდან ელის პუბლიკურ ტვირთს, იგეგმება ჩვენს მუნიციპალიტეტში, კიდევ მოხდეს მათი გადაცემა გარკვეული კატეგორიის ადამიანებისათვის. — განუცხადა "სამტრედიის მაგნი" საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა კობა ძიძიგურმა და კიდევ ერთხელ მაღლობა მოახსენა "ინვესტიციებისა და პუბლიკური პროექტების" გაერთიანების ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი ატაშვილს მეტად კეთილი მისისთვის.

ლევან ბაგრაძე



ვის აღარ მივმართით, სად აღარ დავრეკით?!

6060 ნაწილაკები

რაზმადის ქუჩაზე, "ბანკი რესპუბლიკას" და ადმინისტრაციული შენობის წინ დამდგარი მორბილი გუბე მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მეტყველებდა, რომ სადაც, ამ ტერიტორიაზე მიწისქვეშა მილი იყო დაზიანებული. მთელი დღის განმავლობაში რამდენიმე მონაკვეთზე შადრევანივით ამოდიოდა წყალი, რომელსაც დიდი დაკვირვება არ სჭირდებოდა, შეგეტყო, რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ფეკალური მასა იღვრებოდა. სამინილო სუნი რამდენიმე მეტრზე ვრცელდებოდა, რასაც გამკლავებულ-გამომძვინვარების უარყოფითი რეაქციები ახლდა.

"ჩვენი აქ ყოფნა არ ღირს, რამდენიმე წელია, ასეთ მძიმე პირობებში ვვაგდებთ საკანალიზაციო სისტემა, რომელიც ამ ტერიტორიაზე გადის. გვრცხვინია კლიენტების, დაწესებულებებში რომ შემოდინან. იძულებული ვართ, პაერი ხშირ-ხშირად გავანიავოთ. ვინაიდან ფენს ის სამინილეა შემოაქვს, რასაც შენობაში შემოსვლამდე ვერაფრით ასცდებით". — ერთ-ერთი სოლიდური ობიექტის განაწვევებული ხელმძღვანელი მიგვითხრობდა მდინარესავეთ გამდინარე წყლისაკენ.

რაზმადის ქუჩას, რამდენიმე კერძო ოჯახი და საცხოვრებელი კორპუსები ესაზღვრება. ფეხსაცმლით შეტანილი ან-

ტისანიტარია და ბაქტერიები, სამინილო სუნი მაღალ სართულებზე მცხოვრებ ოჯახებსაც აწუხებს და საფრთხეს უქმნის, თუმცა ის, რაც ლიანა შენგელას ეზოს შესასვლელთან ენახეთ, ყოველად შეუგუებელია. სამტრედიამ ცნობილმა პედატრმა "სამტრედიის მაგნი" გაკეთებულ კომენტარში თქვა, რომ ანალოგიურ სიტუაციაში მისი ოჯახი ყოველი გაწვევების შემდეგ დგება: "ფანჯარას ვერ გააღებ, თუმცა, სამინილო სუნი ოთახებში მაინც აღწევს. ეზოში ნორმალურად ვერ დაგდება. ხომ ხედავთ, რა დღეაა ჩვენთან შემოსასვლელი. ფეკალური მასით გაჯერებული წყალი მხოლოდ აღწევს. ვის აღარ მივმართით, სად აღარ დავრეკით. ამას წინათ მოვიდა საავარიო ჯგუფი, ჩაატარეს სამუშაოები, მაგრამ გაწვიმდა თუ არა, ისევ ისეთ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდით. დღემდე ვერ გავარკვიეთ, ვისი ბრალეულობაა და ვის უნდა მოვთხოვოთ პასუხი".

გაუგუნებანი და ავტორიტეტული დაწესებულების მფლობელი რაზმადისა და რუსთაველის ქუჩების მოსახლეობას ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხელს ვერ აძლევს.

ხუთსართულიან კორპუსში, მე-3 სართულზე მცხოვრები მაია ქართველიშვილი ამბობს, რომ ხუთი წელია, მსგავს სურათს პერიოდულად თავისი აივნიდან უშუბრს. მართალია, მე-3 სართ-

ულზე ცხოვრობს, მაგრამ ფეკალური მასა მის ოთახებამდე აღწევს "დღესაც დავრეკე შესაბამის სერვისცენტრში და დაგვიბრუნენ, მოვალთ და გავწმინდავთ. მაგრამ ეს ერთგვარად ღონისძიებები, როგორც ვხედავთ, პრობლემას არ ხსნის".

სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით "სამტრედიის მაგნი" იმავე დღეს დაუკავშირდა მუნიციპალიტეტის გამგებლის ინფრასტრუქტურის სამსახურს. შურაბ გოგიას განმარტებით, დაზიანებული საკანალიზაციო სისტემა ადგილობრივ მთავრობას უხერხულობასთან ერთად დიდ უსაიმონებასაც უქმნის, მაგრამ სხვის ბალანსზე მყოფი სისტემის მოსაწესრიგებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის უფლებას კანონი არ აძლევს: "ჩვენ, როგორც კი შევამჩნევთ ასეთ სიტუაციას, ვუკავშირდებით წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელობას და ვთხოვთ, მოავარონ აღნიშნული პრობლემა. საერთოდ, როდესაც სამხარეო ადმინისტრაციაში შეხვედრებს ვესწრებოდი ადრეც და ახლაც, ყველა მუნიციპალიტეტს წყალმომარაგების კომპანიათან ანალოგიური პრეტენზიები ჰქონდათ. თხოვნით ხშირად მივმართავთ, რაც შეეხება დაგდებას, კერძო კომპანია და დაგდებაზე ვერ ვავალებთ".

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საკანალიზაციო სისტემის უკონტროლო



ლოლოდ პრობლემას მხოლოდ ამ გზით ვერ მოვაგვარებთ. შეცდომა თავში არის დაშვებული. ჩვენი კომპანია 2010 წელს შეიქმნა. ტექნიკური სამსახურიც მას შემდეგ ჩაერთო პროცესებში. ვერ ვიტყვი, რომ მანამდე არაფერი კეთდებოდა და ქაოსურად მიდიოდა საკანალიზაციო ქსელში ჩართვები. მაგრამ რეალურად დაგვანახა, რომ ძირითადად კორპუსებისთვის განსაზღვრულ სისტემაზე დააერთეს ობიექტები, რომლებიც

ამ ტერიტორიაზე მომრავლდა და დიდატვირთვით მუშაობს. გამოსავალს ერთში ვხედავ, მეპატრონეებმა უნდა მოახდინონ თავიანთი ობიექტების გამწვანება, ცხიმატვირების დამონტაჟება. წყალმომარაგების კომპანია ამ ეტაპზე სხვას ვერაფერს დაგვიბრუნებთ, გარდა იმისა, რომ ცალკეულ დაზიანებებზე საავარიო ჯგუფი გავგზავნო და გავწმინდოთ სამუშაოები ჩაატაროს".

27 სექტემბერს დაეცა სოხუმი ო, აიხსნეთო...

22 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 300 000 ადამიანი იქცა დევნილად საკუთარ სამშობლოში.

22 წელია, მკერდმოკვეთილ ამორბაღს ჰგავს უაფხაზეთო საქართველო.

22 წელია, ცრემლი არ შრება ომში დაღუპულთა ახლობლების, დევნილთა თვალებზე.

22 წელია, ამოდ ცდილობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს მთავრობა აფხაზეთი სამშობლოს დაუბრუნონ.

22 წელია, უქართველოდ ბინდდება აფხაზეთში.

22 წელია, საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებული, მოსახლეობის 10 პროცენტი კი დევნილია.

22 წელია... ვერც ამჯერად ვიტყვით რაიმე ახალს აფხაზეთთან და დევნილებთან მიმართებაში, თუმცა, თემა დღემდე აქტუალურია.

ვიხსენებთ ცეცხლის აღში გახვეულ სოხუმს, გაგრას... და სინანულით გვეკვება გული.

ყოველი ქართველის გონებაში ხმაინდება ტყეების შემზარავი ზუზუნი, ქვემეხების გრუხუნი.

27 სექტემბერი იყო მაშინ, 1993 წელი, როცა რუსების მიერ გულმცემულმა აფხაზეთმა ვერაგულად მოკლეს აფხაზეთის ავტონომიის თავკაცი ყოფილი მარტავა.

27 სექტემბერი იყო მაშინ, 1993 წელი, როცა 13 თვიანი და 13 დღიანი უთანასწორო ომი აფხაზეთის დროებითი დაკარგვით, სოხუმის დაცემით დასრულდა.

27 სექტემბერი იყო მაშინ, 1993 წელი, როცა ქართველ ეროვნულ გმირთა თანაგარსკვლავედს ჩვენი დროის გმირის – ყოფილი მარტავას გვარ-სახელი შეემატა.

27 სექტემბერი იყო მაშინ, 1993 წელი, ჯვართამაღლება, არის ამაში ნიშანდობლივი რამ.

არის იმედი, რწმენა აფხაზეთის დაბრუნებისა, საქართველოს გაერთიანებისა, გაბრწყინებისა.

თავს ვზრით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ უთანასწორო ბრძოლებში გმირულად დაღუპულ მამულიშვილთა ნათელი ხსოვნის წინაშე.

გვახსენოს აფხაზეთი! – ბევრი კარგი შვილის გამზრდელი.

ლევან ბაბუჩავა



“დაცხუფეთით მსოფლიო”

ამ სლოგანით, წლებია, 150-მდე ქვეყანაში მიმდინარეობს დასუფთავების აქცია.

2012 წლიდან ღონისძიებაში საქართველოც ჩაერთო. 18 სექტემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თავკაცები შპს და ააიპ-ის თანამშრომლები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავიდნენ და აქციაში მიიღეს მონაწილეობა.

დაბა კულაში, სოფელი ნაბაკევი, ქალაქ სამტრედიის ლაშა თევზაძის ქუჩა... ამ დღეს სწორედ ეს ადგილები მოინახულეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა და აქციაში თავადაც მიიღეს მონაწილეობა.

დროულია და მისასალმებელი ეს აქცია. გვინდა ვთხოვოთ თანაქალაქელებს აქციები არაა საჭიროა იმისათვის, რომ საკუთარი სამოქმედო ტერიტორია, უბანი, თემი, სოფელი, ქალაქი მოვუწესრიგოთ. ეს ისევე ჩვენ, ჩვენს მომავალს სჭირდება. – განუცხადეს “სამტრედიის მაცნეს” მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჯამბურამ და მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, ბატონმა დავით ბახტაძემ.

ლევან ბაბუჩავა



ღვთისმშობლის შობას ბილოცავთ!

ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა საქართველო. აქ ინახება ქრისტეს კვართი – ღვთისმშობლის ხელით მოქსოვილი.

ღვთისმშობელი მფარველობს ჩვენ ერს. საქართველოში მის სახელზე მრავალი ტაძარი და მონასტერია აგებული, ბევრი საეკლესიო დღესასწაული მისი სახელობისაა.

20 საუკუნის წინ, იუდეაში იშვა მარიამი. სიწმინდითა და სიყვითით გამორჩეულები იყვნენ მისი მშობლები.

როცა მარიამი სამი წლისა შესრულდა, მშობლებმა ეკლესიაში მიიყვანეს იერუსალიმში და ღმერთს შესწირეს, აქ იგი 14 წლამდე იზრდებოდა.

რაკილა მარიამს გაუთხოვრობის აღთქმა პქონდა დადებული, იგი დაწინდეს 80 წლის მოხუც იოსებზე, რომელიც მეორე მშობლად მოეკვლია მარიამს.

... ამრიგად, აღსრულდა ღვთის განგება, ყოვლადწმინდა ქალწულმა შვა ძე უფლისა – იესო ქრისტე.

21 სექტემბერს ეკლესია ღვთისმშობლის შობას აღნიშნავს, ამ დღეს ყველა მოქმედ ტაძარში შესაბამისი ღვთისმსახურება აღევლინება. ღვთისმშობელმა დაგვიცვას და გაგვაძლიეროს.

ლევან ბაბუჩავა



“ღმი ღმის ახუნებს... ისევ მავსალხიდი!”

ვახრაიკვარა ჩეზო ჭეიშვილი

წერილს ორი სათაური აქვს, კინოფილმ “ცისფერი მთების” ერთ-ერთი პერსონაჟის ნაწარმოების მსგავსად. “ტაინსმანის” ავტორი მკითხველთა ნაკლებობას ნამდვილად უწიოდა, რეზო ჭეიშვილი, ამ თვალსაზრისით, განებავრებულ მწერალთა შორის იყო. სქელტანიან წიგნად აიგნებდა ფრთიანი ფრაზები მისი შემოქმედებიდან. საზოგადოების დიდი სიყვარულის ნიშანია ყოველივე.

ხმამალა არასდროს საუბრობდა, არც მისი რომანები და ნოველები ხმაურობდნენ. ჭეიშვილი წერდა, იუმორის, სატირის, გროტესკის, სარკაზმის მიღმა კი ადრესატები თავად პოულობდნენ პროტოტიპებს.

დავუბრუნდეთ “ცისფერ მთებს”. როგორი მძაფრია რეალობის შეგრძნება, თან რა ოსტატურად შენიღბული. ალევროიულობა გეკარნახობს და ბზარული რეჟიმის შლის მოახლოებას. – განა გამოეპარება მწერლის გონივრული ჩანაფიქრი ცენზურას?! განა ვერ ამოიფიქრებ ტექსტს მიღმა ნაფიქრი?! – არა, მათთვის ყველაფერი ნათელი იყო, თუმცა მხელად უარსაყოფი. წიგნის თაროებზე ახალი მოთხრობის გამოჩენის შემდეგ ეკრანზე გაცოცხლდნენ უპერსპექტიუო დაწესებულებებში “მომუშავეები”.

მწერალმა კვლავ გაიმარჯვა, უწმინდურობის წამლეკავი ვეება ცრემლით ჩამობანა მანქანით სახე. ასეთი იყო რეზო ჭეიშვილი, “სეკიანი სიცილის დიდოსტატი”, როგორც მას უწოდეს გარდაცვალების შემდეგ.

მრავალს დასწევია გული მოულოდნელი წასვლით. განსაკუთრებით მათ, ერთად რომ გაატარეს ათწლეულები. ბევრი რამ გამოიარა აღიარებამდე.

“რეზო ჭეიშვილი ლიტერატურულ სამყაროს 1958 წელს მოეკვლია, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალმანახ “პირველს სხივში” გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა. წა-

საცენარო-სარედაქციო კოლეგიის, მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების, საქართველოს მწერალთა კავშირისა და პრეზიდენტის წევრი, მესამე მოწვევის პარლამენტის დეპუტატი.

ქართული პროზის საგანმანათლებლო ბინა მის “მეოთხე სიფონიას”, “ქარების დაბრუნებას”, “ყაჩაღებს”, “ჭეიშვილის” კუდიან ვარსკვლავს...”

დიდი კლასიკოსის მეკვიდრედ სამართლიანად მოიაზრებდნენ კიდევ. – განვლილმა დრომ ცხადზე ცხადი გახადა, რომ რეზო ჭეიშვილი ჭეშმარიტი სულიერი მედიადრე გახლდათ დავით კლდიაშვილისა; ჭეიშვილის ნაკაღმარის ის ჯადოსნური თვისება გააჩნია, რომ უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამომხეს შეეძლო მოპვაროს, სიცოცხლის ხალისი დაუბრუნოს.

მშობელი მხარის, კერის ერთგული დარჩა მწერალი, სულის გაუხეშებაში გამეცადინებულ დედაქალაქს განერიდა და ქუთაისში ჰპოვა სამუდამო სამყოფელი. გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე, 82 წლისა უკანასკნელად გაუსეირნა ქუთათურთა მოსაფერებლად; უთქვამს, სიკვდილს ჯერ არ ვაპირებ, მაგრამ აქ მინდა დავიმარხო. დანაბარების ასრულება ადრე მოუხდათ. რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, მწერალი რეზო ჭეიშვილი ქუთაისის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ლევან ბაბუჩავა



აღზეების სტრუქტურა-სტრუქტურა საკითხად მეცადინეობა იწყება!

თბილისი

თავგანწირვით აწვიმა მთელი ღამე წყალს მონატრებულ მიწას. მაინც გადაჰყარა ღრუბელი დილას შემოდგომაშეპარებულმა მზემ. გამოიდარა და მერე როგორ!... ღრუბლები გაიფანტა და ათასი ფერით აივსო ეზო და სახლი. აახშიანა, აახმაურა ცა და ჰაერი. გახსნა ბაგე და გული ღიმილისა და იმედისთვის. სასწავლო წელი დაიწყო ახალი წარმატებების მისაღწევად, მეცნიერების მწვერვალების დასაპყრობად, ცოდნის საოცარ სამყაროში გზის გასაკვალავად.

ალიონს აპყვინენ და ზურგზე მოვიდებული სასკოლო ჩანთით მშობლიურ სკოლას მიაკითხეს ზაფხულის მზეგადაკრულმა აღსაზრდელებმა. გაოცებული, ცრემლიანი თვალები შეანათეს მათთვის ახალ სამყაროს ჯერ ისევე დედის კალთას ჩაბლაუჭებულმა პირველკლასელებმა. მომავლის რწმენა ახალგაზრდული თავდაჯერებულობით შეაგებეს საკლასო ოთახებში მომლოდინე მერხებს უფროსკლასელებმა. პრობლემები პრობლემებად რჩებოდა სკოლის კარს მიღმა, მაგრამ ქვეყანა მაინც ქვეყნობდა და ზვალინდელი დღის აღზეების სტრუქტურა-სტრუქტურა საკითხად მეცადინეობას იწყებდა.

მასწავლებელი კი, მასწავლებელი ყოველთვის მასწავლებელია. ყველა ასაკში, ყველა დროს მოწიწება ახლავს მის ნახვას და ბავშვობის ანცი დღეების სასიამოვნო მოგონება სკოლის ეზოს, ყოველთვის ფართოდ რომ უღებს ჭიშკარს ყველა ნამოწაფარს.

ის დღე და დღეა ყველა სკოლაში საზეიმოდ იყო. მისასალმებელი სიტყვა ითქვა. სკოლების დირექტორები, პედაგოგები, მოსწავლეებს, განსაკუთრებით პირველკლასელებს მიესალმნენ, მეთორმეტეკლასელებს გზა დაულოცეს. წარჩინებულები სახალხოდ დააჯილდოვეს. სახელმწიფო ჰიმნის ფონზე საქართველოს დროშა აფრიალდა მზესთან ახლოს. "ორ ზღვას შუა ძველისძველად", "მერად მინდა მკერდში გული", "ყველა ჩემი სამშობლოა", "კენჭით ბიჭი ვიზრდები", "ეს წიგნი ერის ბურჯია", "კართან დედა მელოდება, ამ ავი და მომღმირი"... გართობული ამკობდნენ სამშობლოს მთასა და ბარს, საკუთარ მოსწავლეობას პატარები, პირველკლასელები და ამ პირველი ლექსებით მომავალი წარმატებების ფიცს სდებდნენ.

ეკრის საჯარო სკოლის შემთხვევაში, ნამოწაფარი მუნიციპალიტეტის გამგებელი იყო. მშობლიურ სკოლას პირველ რიგში მიაკითხა. უკვე მოსწავლე აღარ არის, მაგრამ ვალერი ფოცხვერია ყოფილ პედაგოგებს მოწიწებით, თანასოფლელების, თანაკლასელების, მეგობრების შვილებს, მშობლებს ღიმილით ულოცავდა ახალი სასწავლო წლის დაწყებას. იმ სკოლაში კი, ახლებური ნიღბის მიუხედავად, ყველაფერი ძველებურად გახლდათ. მშობლიური სკოლის ეზოში ყოველთვის პატარა ხარ და ისეთი ლაღი, სკოლის ფორმიანი რომ იყავი.

ეკრის საჯარო სკოლის დირექტორი მიხეილ კობახიძე სასკოლო ამბად პყვებოდა, რომ "გასულ წელს კურსდამთავრებული 4 მეთორმეტე კლასელიდან, სამი სტუდენტი გახდა. ახალი სასწავლო წლისთვის სკოლის ძალებით გარემონტდა ქიმიისა და ფიზიკის კლას-ლაბორატორიები. სკოლას პარტნიორობას უწევს არასამთავრობო ორგანიზაცია "თბილისის მონარდთა სახლი". მათი მეშვეობით სწრაფი კვების სახით ჩვენს მოსწავლეებს ერთჯერადი კვება უფასოდ აქვთ. წელს გაიზარდა კვების რაციონი. ამ ორგანიზაციამ სკოლის ყველა საკლასო ოთახის ელექტროფიციერება მოახდინა. გარდა ამისა, სკოლის ბიბლიოთეკას მხატვრული და სამეცნიერო ლი-

ტერატურა საჩუქრად გადმოსცეს. გვაქვს სახელეც, სკოლა ეწერის თემის სამ უბანს ემსახურება. სასკოლო ავტობუსი ერთ უბანში დადიოდა მხოლოდ. ამიერიდან ის ორიც დაემატა და იგი ყველა მოსწავლეს მოემსახურება. გვაქვს არაერთი წარჩინებული მოსწავლე და სერტიფიცირებული მასწავლებელი. ერთი სიტყვით, მზად ვართ მოსწავლეზე ორიენტირებული წარმატებისთვის."

საკუთარი სკოლის შემდეგ, მუხომე-



ლი სოფლების სკოლებსევენ, იანეთისა და დიდი ჯიხაიშისევენ გაემგზავრა ვალერი ფოცხვერია. იანეთის საჯარო სკოლაშიც მარშანდელი კურსდამთავრებულების სტუდენტობით ამყოფდნენ. სკოლის დირექტორის რანგში პირველი სასწავლო წელი იყო მარინა დარსაველიძისთვის. წელს აქ 9 პირველკლასელი მიუჯდებდა სკოლის მერხს. "უულოცავ ყველა მათგანს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას. წარმატებები მოუტანოთ სკოლისთვის, ქვეყნისთვის და საკუთარი თავისთვის. რაც შეეხება იანეთის საჯარო სკოლას, საკუთარი მოვალეობების შესრულებას ისეთივე წარმატებით გავაგრძელებთ, როგორც ეს აქამდე იყო." - აღნიშნა მან.

იანეთიდან დიდი ჯიხაიშისევენ აიღეს გეზი მუნიციპალიტეტის გამგებელმა და საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრეღიძემ. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ დიდ სოფელში სამი საჯარო სკოლა მოინახულეს. დიდი ჯიხაიში ის ადგილია, ბევრი ტყეშმარტი მამულიშვილი რომ აღზარდა ქვეყნის მეჭირნახულედ. ამ დიდი სოფლის პირველ საჯარო სკოლაში მამა მატათასთან (ბერიძე) ერთად წაკითხული ლოცვით დაიწყო სასწავლო წე-

ლი. დიდი ნიუ ნიკოლაძის სოფელში წარმატებული სკოლები გასაკვირი არავისთვის უნდა იყოს. ამიტომაც, დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლის დირექტორს, მანანა ხაზაღას თავმოსაწონებელი ბევრი ჰქონდა: "გასულ წელს 13 კურსდამთავრებულიდან თითქმის ყველა სტუდენტი გახდა. ხუთი მედალოსანი გვყავდა, ოთხი ოქროსი და ერთი ვერცხლის. ხუთივემ გრანტი მოიპოვა. სამი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. აქედან ორს 50, ერთს კი 70%-იანი გრანტი აქვს. ორი სამედ-იციო უნივერსიტეტის სტუდენტია 70%-იანი გრანტით. განსაკუთრებით აღვნიშნავ, რომ გრანტი საბუნებისმეტყველო საგნებით, ფიზიკითა და ბიოლოგიით მიიღეს. სხვა, უფრო დაბალი რანგის სასწავლებლებში 100%-იანი გრანტები ექნებოდათ. კიდევ ერთიც, ქართულ ენასა და ლიტერატურაში ყველა ჩვენმა კურსდამთავრებულმა ძალიან მაღალი ქულა მიიღო. არც ერთი მათგანი 50 ქულაზე ქვემოთ არ ჩამოსულა. მოგეხსენებათ, წელს ქართულის ბარიერი დაწვეული გახლდათ და ჩვენმა ერთმა მოსწავლემ 73 ქულის აღება შესძლო. ინგლისურ ენაში 94 ქულიანი აბიტურიენტი გვყავდა."

წელს 21 პირველკლასელი ეკოლემა დიდი ჯიხაიშის პირველ საჯარო სკოლას. აქედან ორი, მასთან ინტეგრირებულ ყაზბეგის არასრულ სკოლაში ისწავლის. სკოლის ადმინისტრატორი ელგუჯა მუქერია ამ პატარა სკოლაზე საუბრობდა. მის 47 მოსწავლეს და მშობლებს ესალმებოდა. წელს ყაზბეგის არასრულ საჯარო სკოლა ორ პირველკლასელთან ერთად შვიდ მეცხრეკლასელს შეჰმატებს დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეთა რიცხვს.

მესამე ნინოშვილის უბნის არასრული საჯარო სკოლა გახლდათ, რითაც დიდი ჯიხაიშში სტუდენტთა დაასრულა გამგებელმა. სკოლის დირექტორი ციციანი ვაჟაყვი პირველკლასელებთან შეუძღვა სტუდენტებს. აქაც, ისე როგორც ყველგან, მორცხვად დაუქნიეს გამგებელს თავი, დახს, კარგად ვისწავლით.

და გომი, დიდი ჯიხაიშის მსგავსად მეორე დიდი თემი სამტრედიის მუნიციპალიტეტში. უფრნალისტებმა წინასწარ ვიცოდით, მივდიოდით სოფელში, სადაც წელს სკოლის მერხს გიორგი მარგველაშვილი მიუჯდა.

არა, ბატონი პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ თუ დღემთელი გიორგი მარგველაშვილი შეიძლება პრეზიდენტი გახდეს, რატომაც არა გომელიც, მისი სახელმწიფო იქნებ, მასავით წარმატებული ადამიანი გაიზარდოს. პოდა, გიორგი მარგველაშვილი დაბლა გომის საჯარო სკოლის მოსწავლეა. მისი სკოლის დირექტორი ომარ ჩაჩუა ამ დამთხვევაზე ღიმილით საუბრობს. იმასაც ამბობს, რომ "მარშანდელი კურსდამთავრებულებიდან ხუთი სტუდენტი გახდა. ორი 50%-იანი გრანტით, ერთიც სახელმწიფო დაფინანსებით. იმდენად კარგი მეთორმეტე გვაქვს, წარმატებებს სამომავლოდაც ველოდებით."

გომის საჯარო სკოლის სპორტულ სტადიონზე სპორტის გაკვეთილი ტარდებოდა. სტუდენტები მამის მივდივნენ. მიხელისთანავე პირველკლასელები მოვიდნენ. უფროსი კლასები აღარ მოადინეს სტუდენტობით. ლექსები თითქმის ყველამ წაიკითხა მათ პატივსაცემად. ერთ-



მა დაიწყო და... გააწყვეტინა თანაკლასელებმა. ატირდა ბავთიანი გოგონა, თუმცა მას ლექსი წაკითხულად მაინც ჩაეთვალა. ეზოში გამოვიდნენ, და... სკოლის დირექტორი მაყვალა არაბიძე გული-სტკივილით აღნიშნავდა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურას ხელის შევლება არ აწყენდა. "ჩემი სკოლის ბევრი აღზრდილი მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირია. ყველას ვსაყვებოვარ, მეტი ყურადღება მიაქციონ მშობლიურ სკოლას." მუნიციპალიტეტის გამგებელი მას პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა. კორმალის საჯარო სკოლა საგრძ-

სასწავლო წლის დაწყებას, ყველას, პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს. წარმატებული ყოფილიყოს იგი არა მარტო მათთვის, ვინც წიგნებით ხელში მიუხსდნენ მერხებს, მთელი ქვეყნისთვის, საქართველოსთვის."

ის, რომ გამგებელი ახალ სასწავლო წელს სოფლის სკოლებში შეხვდა, სოფლებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით ახსნა: "მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სოფლებს. დაცლილია სოფლები, ამას ვამჩნევთ. სკოლის კონტინგენტსაც, სამწუხაროდ, ეტეობა ეს არავის გაუკვირდება, რომ, პირველ რიგში, მშ-



ნობლად გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით დახვდა სტუდენტებს. ესეც რომ არ იყოს, მის დირექტორს, შორენა გიორგაძეს სასაუბროც ბევრი ჰქონდა კურსდამთავრებულთა მიღწევებზე: "მარშანდელი 17 კურსდამთავრებულიდან 11 სტუდენტი გახდა. ერთმა მათგანმა ინგლისურ ენაში 99 ქულა აიღო. ორი 50 და ერთი 70% გრანტით მიხვდა უმაღლეს სასწავლებლებში, რამდენიმე უფასო ფაკულტეტზე ისწავლის. წელს სკოლას 14 მეთორმეტეკლასელი დაასრულეს." პირველ კლასში კი ოთხი, სამი ვაჟი და ერთი გოგონა შევიდა კორმალში. გამგებობის ადმინისტრაციის უფროსი, გომის მკვიდრი, ბუენა გვეგშიძე ვარაუდობდა, რომ "ერთადერთი გოგონა დედოფალივით ეკოლებათ თანაკლასელებს."

მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად ყველა თემში გამგებლის წარმომად-

ობლიური სკოლა მოვიხანხალე. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. თუმცა ქალაქის და სოფლის რა მოსაზრებანი, გაენაწილდით და ქალაქის ყველა სკოლაში გამგებლის მოადგილეები, გამგებობის სხვადასხვა თანამშრომელი, სამსახურების უფროსები იყვნენ სტუდენტად. ახალ სასწავლო წელს მუნიციპალიტეტი საკმაოდ მომზადებულად შეხვდა. სამწუხაროდ, ყველა სკოლაზე ვერ ვიტყვით ამას, გომის სკოლის დირექტორის სამართლიან კრიტიკას ვლებულობთ და ახლო მომავალში ამ პრობლემის გამოსწორებაზე ვიზრუნებთ."

წელს პირველად, ყველა სოფლის სკოლის ყველა პირველკლასელმა ლამაზ აბგაში ჩაწვობილი საკანცელარიო ნივთები მიიღეს საჩუქრად მუნიციპალიტეტის გამგებობისგან.

"ბედი იმისია, ვინც ძლიერია. ძლიერი კი მარტო მცოდნე კაცია." - ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები ყველა ეპოქას ეხმიანება. უფრო სწორად, ყველა ეპოქაში ასე უნდა იყოს. არის თუ არა, ეს სხვა საქმეა, რადგან ყოველდღიურობა სხვანაირად "დალაღებს", წუთისოფელში ძლიერებისთვის ყველაზე ნაყოფიერად ცოდნა გამოიღოს საჭირო. ჯოჯოხეთის რომ ანათებს, იმ მამონის ძლიერებას რეალობაში ვერაფერ ჩაგრავეს, პირიქით. და ამიტომ, მცოდნე კაცი არავის უნდაო, - სამწუხაროდ, სულ უფრო ხშირად გაიგონებთ გულისტკივილი ნათქვამს. "პატრონი" რომ საჭიროა, ესეც რეალობას მის-



დაგენლები და მათორიტარი დეპუტატები ესალმებოდნენ მოსწავლეებს და პედაგოგებს.

ცოტანი არ არიან ისინი, ვის მეხსიერებაშიც სწავლის დაწყება პირველ სექტემბერთან ასოცირდება. იმ დღესაც ღიმილი ერთვოდა მილოცვას, "პირველ სექტემბერს გილოცავთ თოთხმეტ სექტემბერს"-ო. ვალერი ფოცხვერიაამაც ასე დაიწყო: "გილოცავთ პირველი, უკაცრავად, 14 სექტემბრის მოსვლას, ახალი

აღაგებული გამონათქვამია. თუმცა რაღა თანამედროვეობის, ასე იყო, ასე არის... არა, ამ წერილში ამხანგე წერა არ შეიძლება! იმ დღის განწყობას მაგალითის ძალა აქვს და ხმამაღლა ვთქვით: "სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე!" თუ სასწავლო პროგრამაში არ არის, "ყინვა და პატარა მოწაფე" გავაზუთხინოთ შეიღებს და განათლებული მომავლის, განათლებული კაცის დაფასების იმედად დავრჩეთ!

იმიდი, პოპულარიზაცია როგორც კვირა

თავა გაგზავნილი

სამტრედიის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები, საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბადრი შენგელია კულაშის, ჭაგინის, მელაურის და დანისის საჯარო სკოლების სტუმრები იყვნენ ახალი სასწავლო წლის პირველსავე დღეს.

თავდაპირველად მშობლიური სკოლა მონახულა საკრებულოს თავმჯდომარემ. გაიხსენა დრო, როცა ამ სკოლის დერეფანში თანატოლებთან ერთად ატარებდა უდარდელ ბავშვობას. მამა ცნობილი პედაგოგი, აკაკი ჯამბურია, აქ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი და სკოლის დირექტორი გახლდათ. მოსაგონარი ბევრი აკაკი ჯამბურის ნუგზარ ჯამბურის კულაშის კონსტანტინე მურმანის სახელობის საჯარო სკოლასთან. სკოლის დირექტორი ნუგზარ კვანტალიანი მეგობრობას უწევდა მას და მის თანმხლებ პირებს. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ პირველკლასელებმა საჩუქრები მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისა და "ნოუთბუქები" განათლების სამინისტროსგან მიიღეს, რომლებიც მათ დირექტორმა გადასცა.

სასიამოვნო მოგონებთა სკივრი არ იხურებოდა. მელაურის საჯარო სკოლაში განწყობა განსაკუთრებით ამაღლებული იმითომ ჰქონდათ, რომ ელოდნენ სტუმრად მისულ მასპინძელს, ადამიანს, რომელსაც ამ სკოლასთან პედაგოგიური გამოცდილება და დირექტორის 14 წლიანი პასუხისმგებლობა აკავშირებს. იგი საკრებულოს დღევანდელი თავმჯდომარე გახლდათ. დიან, ნუგზარ ჯამბურია იმ სკოლაში მივიდა, სადაც გაატარა წლები, რომლებზეც ხშირად საუბრობს. ყოველ მის ფრანს ეტყობა, რომ ძალიან ენატრება მისი ძირითადი საქმიანობა, საკუთარი პროფესია, ენატრება მოსწავლეებით სავსე საკლასო ოთახი და ცარციტი აჭრელებულ დაფაზე მიწერილი ფიზიკის ფორმულები. "აქ ჩემთვის ყველაფერი ახლობელია." - ვერ ფარავდა განცდებს იგი. სკოლის დირექტორი ნინო ნიკოლოშვილი პირველკლასელების საკლასო ოთახში შეუძღვა საპატიო სტუმრებს. ისევე როგორც ყველგან, აქაც "ნოუთბუქები" და ადგილობრივი ხელისუფლების საჩუქრები გადაეცათ პირველკლასელებს. ჭაგინის არასრულ საჯარო სკოლაშიც, სხვა სკოლების დარად, განწყობა საზეიმო იყო. განსაკუთრებით ფერადი და ლამაზი პირველკლასელებისთვის განკუთვნილი საკლასო ოთახი გახლდათ.

მათთვის პირველი შთაბეჭდილება დაუვიწყარი რომ ყოფილიყო, ძალიან მოინდომეს ამ სკოლის შესწავლა. სკოლის დირექტორი ნათელა შენგელია სკოლის საჭირობო საკითხებზე საუბრობდა სტუმრებთან და იმ მოსწავლეებით იწონებდა თავს, ამ სკოლამ დირექტორი საძირკველი რომ ჩაუყარა ცოდნის მიღებაში.

დანიის საჯარო სკოლაში დირექტორის, გონა დანელიას შეგებულებაში ყოფნის გამო, მისი მოვალეობის შემსრულებელი, ქეთევან დარსალია შეეგება სტუმრებს. აქაც მილოცვით, ღონისძიებით და დიდი სიყვარულით დაიწყო ახალი სასწავლო წელი, რომლისგანაც წარმატებებს კვლავ ელიან.

"მხოლოდ განათლებამა ჩვენი ქვეყნის ხსნა. ღმერთმა გვიმარჯვლოს ის იმედი, განათლებული თაობა რომ ჰქვია. დიდი პატივია ჩემთვის თქვენთან ერთად ყოფნა. გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და გისურვებთ, ყოველთვის წარმატებები მოუტანოს მას, სწავლის პერიოდშიც და მისი დასრულების შემდეგაც." - ამ სიტყვებით ნუგზარ ჯამბურია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ახალი სასწავლო წელი მიულოცა სამტრედიას. ყოფილმა პედაგოგმა, საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებით, ამ რთულ და საპატიო პროფესიაზე ისაუბრა.



მე-15 სკოლას განათლებისა და მკაცრად მართვის საინსპექციისგან წარმატებით გადარჩა

60600 ნაწილაკი

მე-15 საჯარო სკოლამ 2015 წლის 14 სექტემბერს 43-ე სასწავლო წლის დაწყება აღნიშნა.

მცირეკონტინგენტთან სასწავლებელში ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე 9 მოზარდი ჰყავთ. ყველაზე პატარა 13 წლისაა, ხოლო უფროსი - 16 წლის.

14 სექტემბრის დღით მე-15 საჯარო სკოლის აღსაზრდელები და პედაგოგები ფოიეში შეიკრიბნენ, საქართველოს პიძის ფონზე ეროვნული დროშა აღიმართა. ამის შემდეგ სკოლის დირექტორმა, გიორგი მეთევამ მე-15 საჯარო სკოლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა, მშვიდობიანი და წარმატებული წელი უსურვა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდა დაწყებითი კლასების სპეციალისტი ბელა ნიკურაძე, პედაგოგი, რომელიც სკოლის დაარსებიდან აქ მუშაობს და დღემდე ენერჯიულად ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას. სასწავლო წლის დაწყება მე-15 სკოლებს ასევე მიულოცეს სკოლის დირექტორის მოადგილე, ზეინაბ ლობჯანიძემ, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, ირმა სტურუამ, მშობლებმა, ტატიანა არჩაიამ.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას სკოლა სარემონტო სამუშაოებით შეხვდა. მიმდინარეობს სასწავლო დაწესებულების ეზოს პერიმეტრის შემოღობვა რეინაბეტონის დეკორატიული კონსტრუქციით. სამუშაოთა დირექტორმა 179 000 ლარი შეადგინა.

გიორგი მეთევა: "შემოდგომა, სავარაუდოდ, მიმდინარე თვის ბოლოს დასრულდება. ამის შემდეგ ტენდერი გამოცხადდება სპორტულ დარბაზზე. გეგმავთ, მას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდეს და მოეწყოს ახალი სპორტული ბაზა თანამედროვე აღჭურვილობით. გვაქვს სურვილი, მე-15 საჯარო სკოლაში გაკეთდეს საცურაო აუზი, სადაც ბავშვებს საშუალება მიეცემათ, ფიზიკურად გაააფხინონ".

მე-15 საჯარო სკოლებსათვის სიურპრიზი აღმოჩნდა 14 სექტემბერს მათ სასწავლო დაწესებულებაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ლია გიგაურისა და ინტელექტუალური განათლებისა და განვითარების სამმართველოს უფროსის, ეკა დგებუაძის მოულოდნელი სტუმრობა. მათთან ერთად იმ დღეს იმყოფებოდნენ სამინისტროს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის წარმომადგენლები. სამტრედიის რესურს-ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ელენე ბოხუა.

მინისტრის მოადგილე ადგილზე გაეცნო მშენებლობის მიმდინარეობას. გიორგი მეთევის მოსმინა სხვა სამუშაოების, კერძოდ, სპორტული დარბაზის რემონტის აუცილებლობა, რაზეც ლია გიგაურმა დაპირება მისცა.

სტუმრებმა შენობა გულდასმით დაათვალიერეს, ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს მოსწავლეებსა და პედაგოგებს, მოზარდებთან და კოლექტივთან უშუალო, გულთბილი დიალოგი გამართეს. გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

აღსაზრდელებს თხოვნით სტუმრები საძინებლებშიც შევიდნენ, რომლებიც მოსწავლეების სურვილითა და გემოვნებით, მათივე ხელებით იყო მოწყობილი და მოხატული. მოხიბლულნი დარჩნენ გამოვლენით, სადაც მე-15 საჯარო სკოლის ახალგაზრდების ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. ზეთითა და აკვარელის შესრულებული ტილოები და ქვები აქაური ბავშვების განწყობას გამოხატავდნენ. ლია გიგაური დაინტერესდა გამოვლენით, მოკითხა პიროვნება, ვინც მოზარდებთან ამ მიმართულებით მუშაობს.

ლია გიგაურის გაკვირება გამოიწვია იმან, რომ პროფესიონალი შემოქმედის ნაცვლად ხელში უფროსი აღმზრდელი, ხათუნა სანადირაძე შერჩა. მე-15 სკოლებსა და სახსოვრად ხათუნა სანადირაძემ მინისტრის მოადგილეს მისი პირადი ნამუშევარი "ბუნების პეიზაჟი" აჩუქა. მასპინძლებს სასიამოვნოდ დარჩათ ის ფაქტი, რომ ლია გიგაური 2014-2015 სასწავლო წლებში მე-15 საჯარო სკოლის ყველა წარმატების საქმის კურსში იყო. მინისტრის მოადგილე მე-15 სკოლებს დაპირდა, რომ სამინისტროსაგან ხელშეწყობა არც მომავალში მოკლებულია.

ლია გიგაურის გაკვირება გამოიწვია იმან, რომ პროფესიონალი შემოქმედის ნაცვლად ხელში უფროსი აღმზრდელი, ხათუნა სანადირაძე შერჩა.

მთავრობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ბევრ მეცნიერების სამინისტრო ბევრ სიანხლეს სთავაზობს მოსწავლე-ახალგაზრდობას, იგეგმება პედაგოგთა ხელფასების ეტაპობრივი ზრდაც, ასე რომ...

დაიწყო ცოდნის ძიებით აღსავსე ახალი 2015-2016 სასწავლო წელი!

ლევან გაგუა



სახსნიელი წელი დაიწყო

ისევ ახმაურდა ქუჩები, ახალი სასწავლო წლის დაწყებას ერთობ მომზადებული შეხვდა ქვეყანა.

საქართველოს მასშტაბით ასობით სკოლას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, აშენდა ახალი სკოლები. ხელისუფლებამ, არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციებმა საჩუქრებით გაანებივრეს პირველკლასელები და არა მარტო ისინი. პრეზიდენტმა, პრემიერმა ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს მოსწავლეებს.

დილიდანვე გამოცოცხლდა სამტრედიის ქუჩები, სკოლისაკენ იჩქაროდნენ მოსწავლეები, მონატრებული კედლები, ამხანაგები, პედაგოგები ელოდათ მათ.

მუნიციპალიტეტის თავკაცებმა სკოლები მონახულეს, პედაგოგებს, მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. ლუკა და ლანა შანიძეები დაბა კულაშის საჯარო სკოლისაკენ მიიქაროდნენ, ამავე სკოლის მეთავე კლასელია რევაზ ღირდელაძე.

მესამე საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები არიან მიხეილ და მარი თევზაძეები. ანა და გიორგი ნიკურაძეებმა, ალექო ნინუამ ზაფხული ბებიათან სამტრედიისკენ გაატარეს, დაიწყო თუ არა სასწავლო წელი, მშობლიურ აჭარას მიაშურეს, სასწავლო წელი დასრულდება

და კვლავ ჩამოვალთო, ანუგემეს ბებია-ბაბუა.

ერთი სიტყვით, ლამაზი სანახავე იყო 14 სექტემბრის დღია სამტრედიის. უხაროდან სწავლის დაწყება ნანა და რამაზ ქოიავეებს, მართიული ბეჯით სწავლას, კარგ ქართველობას გვაპირდებოდა.

ახალი სასწავლო წლის დაწყება ერთობ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და წარმატებული "სამტრედიის მაცნეს" მეთხველათვის კარგად ნაცნობი უკვე სტუდენტების, პირველკურსელების ზიო ჯინჯარაძისა და ანრი წაქაძისათვის. ზიო სულხან-საბას სახელობის, ხოლო ანრი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახ-

ელმწიფო უნივერსიტეტში დაუფლებიან მეცნიერების საფუძვლებს. "სამტრედიის მაცნე" კი ისეთივე ერთგულებით გააგრძელებს მათზე წერას, როგორც ყოველთვის.

მთავრობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ბევრ მეცნიერების სამინისტრო ბევრ სიანხლეს სთავაზობს მოსწავლე-ახალგაზრდობას, იგეგმება პედაგოგთა ხელფასების ეტაპობრივი ზრდაც, ასე რომ...

დაიწყო ცოდნის ძიებით აღსავსე ახალი 2015-2016 სასწავლო წელი!

ლევან გაგუა

მეხს ომი ჰიველიცხელი მოუჯდა

ნაშრომის ნაგებობა

სოფელი ნიგორზღვა მდებარეობს იმერეთის სამხრეთ მთისწინეთში. ქალაქ სამტრედიიდან 10-12 კილომეტრის მანძილზე. ზღვის დონიდან – 120 მეტრზე. პავა ტინიანი, სუბტროპიკულია. სოფელს ირგვლივ ტყე არტყია. ხის ჯიშებიდან გავრცელებულია: აკაცია, რცხილა, წიფველა, ნეკერჩხალი, მუხა, წაბლი, თელა, თხმელა. ფაუნადან – კურდღელი, ტურა, მანვი, ზღარბი, კვერნა, იშვიათად ციცი. ბოლო წლებში განხდა მგელი. ბუნებრივი სიმდიდრიდან აღსანიშნავია კირქვის და ქვიშაქვის კარიერები. სოფელი მესწრულ ზონაში მდებარეობს. სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები, საკარმიდამო ნაკვეთები და კომუნალური ინფრასტრუქტურა საფუძვრულზე და წყალგამყოფებზე არის განლაგებული. სოფლის ძირძველი გვარებია: თარგამაძე, დორდალაძე, გავუა, ქორიძე, ჩხაიძე, ზამბახიძე, ძიგუა, კიკვაძე, ტონია, შანიძე, კალიანი, არდიშვილი.



1962 წლის აღწერით სოფელში 192 კომლი ცხოვრობდა 866 მცხოვრებით. წლებიდან მონაცემებით კი, პირველ და მეორე ნიგორზღვაში 191 კომლია. ამომრჩეველი რაოდენობა 400-ს აღწევს.

ნიგორზღვა მოსახლეობისაგან დაცლილი ქართული სოფლების მწკრივში დგას, ახალგაზრდობის ყრამული ზაფხულში თუდა აღვიძებს სოფლის ორღობებს. ზამთარში სოფელი უმძიმესი სანახავია – სანატრულია სახურავიდან ამოსული კვამლის ხილვა. ასევე ემოციის გარეშე ვერ ჩაუვლი კონტრადიქციულ მიტოვებულ სახლებს, გარდაცვლილი ადამიანებით რომ დგანან. პოეტის გულამოსკენილი სიტყვები გაახსენდება ამ დროს ადამიანს: “სახლმა მექვიდრე ვერ იყოლია, ფუჭი გამოდგა ჯაფა ბებრული, მე ის პატარა ციხე მგონია, მტრისთვის უომრად ჩაბარებული”.

მართალია, სოფელი დიდი ხანია დაიშალა ბუნებრივი აირის მიღებით, მაგრამ ვერ კიდევ ვერ ხერხდება მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება, მხოლოდ მესწრულში მდგომარეობა არ განაპირობებს სოფლიდან მძაფრ მიგრაციას. მოუწესრიგებელი გზებიც სოფლის ერთ-ერთი პრობლემაა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სკოლაში. სკოლა მოსწავლეების ნაკლებობას განიცდის. შობადობის მაჩვენებელი სოფლად დაბალია, პრობლემას ისიც ქმნის, რომ ვისაც შესაძლებლობა აქვს, თავისი შვილი სასწავლებლად ქალაქში მიჰყავს. საბედნიეროდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის სკოლიდან სახლში და პირიქით ტრანსპორტირებას, ძლიერი პედაგოგიური კადრები და ეს კომფორტი საკმარისი უნდა იყოს საიმისოდ, სკოლამ მოსწავლეები მოიზიდოს, თუმცა...

ნიგორზღვის საჯარო სკოლა 9 კლასიანია. დღეის მონაცემებით აქ 16 მოსწავლე ირიცხება. სკოლა სოფელში 1912 წელს აშენდა, 1978 წელს მან იმ ნაგებობაში დაიდო ბინა, რომელშიც ამჟამად არის განთავსებული.

გასულ სასწავლო წელს სკოლას პირველკლასიანი არ მიუღია, წლებს სკოლაში ორი პირველკლასელი შევიდა. ერთ-ერთი მათგანი სოფლის ადგილობრივი მევიდრია, – აკაკი შანიძე, მეორე კი – სამტრედიიდან დემეტრე კიკვაძე.

ტრადიცია სკოლაში წლებულსაც არ დარღვეულა: ეროვნული ჰიმნის პირველმა აკორდებმა მოულოდნელად შეწყვიტა ნორჩების ფუსფუსი, ჰიმნის შედეგების შემდეგ პატარებმა ეროვნული დროშა აღმართეს და შეკრებილ სტუმრებს შესანიშნავი ლიტერატურული კომპოზიცია შესთავაზეს. ენას, მამულს, სამშობლოს ღვთისთავეს ეხმარებოდნენ პატარები და ამ ბავშვების თვალბრუნებით ნაპერწკლებს ახლავს თუ ვერსულებით, გვეჯერა,

სოფლად შობილი დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწეების მსგავსად, ისინიც დირსულ ქართველებად მოგველინებიან...

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გრიგოლ კიკვაძემ მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა, წარმატებულ მოსწავლეებს მადლობა გამოუცხადა და სირთულეების დაძლევა და კარგი შედეგების მიღწევა უსურვა ცოდნის ძიების რთულ გზაზე. შემდეგ პირველკლასელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჩუქარი “ლენინოვს” კომპიუტერები გადასცა. მოსწავლეებს სწავლის დაწყება მიულოცა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა სავაგაბოს თუმში – შავლეგ თარგამაძემ, რომელიც სოფელ ნიგორზღვის მეციდრია.

შავლეგ თარგამაძეც ამ სკოლის კურსდამთავრებულია, და სიამაყით არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ამ სკოლაში ნასწავლი საგნებით ყოველგვარი რეპეტიტორის გარეშე შეძლო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გამხდარიყო. ამ სკოლას არაერთი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს. ბატონმა შავლეგმა წარმატებები უსურვა სკოლის მოსწავლეებს და მუნიციპალიტეტის გამგებლის საჩუქარი – სასკოლო ნივთების ნაკრები გადასცა.

გამგებლის წარმომადგენელს კითხვით, როგორ ხედავს ის სოფლის უახლოეს მომავალს, რამდენად დაძლეულია მიგრაციის პრობლემა და როგორი პოლიტიკის გატარებით შეიძლება დავაძგროთ ადგილზე მოსახლეობა:

არა, არა, არავითარი პროვინციალიზმი! აბსოლუტური სიმართლეა! ეს, პირველ რიგში, დედამამ, შემდეგ სკოლაში უნდა ასწავლონ. რა არის იცით? პირდაპირ ოპერაში რომ მივა მოდას ავიღოთ, კედლებით შევა. ბალიდან რომ თოჯინების თეატრში ვატარებთ შვილს, სკოლიდან მოზარდმაყურებელთა თეატრში, სტუდენტობისას აუადმიურ თეატრში წავა და ოპერაშიც არ შევა კედლებით. ცუდი სიტყვაა, მაგრამ უნდა ვიხმარო – შემოქმედებითი პროლექტისადმი პატივისცემა თავისთავად უნდა ჩამოყალიბდეს ადამიანს, და არა იმით, დედამ დაძალოს, ეს ჩაიცვით.

თეატრალურ ხელოვნებაზე შეყვარებულთათვის პერიფერიებში სახალხო თეატრებია ის ერთადერთი ადგილი, სადაც შეუძლიათ თავი “შეაფარონ”. სამტრედიო თეატრის პრობლემებს თუ იცნობთ?

ძალიან ხშირად დავდივარ ახალციხეში, ოზურგეთში, თელავში, ფოთში, გორში, რუსთაველი, ყველგან, სადაც თეატრია და მიხარია, რომ იქ შემოქმედებითად დღეს სცენა. ზოგჯერ წელიწადში სამი პრემიერაც კი აქვთ. სამტრედიოში შარშან დასავლეთ საქართველოს მასშტაბით პირველი ადგილი აიღო თეატრალურ ფესტივალზე. ვეფხია ნადირაძეს, ამ თეატრის ხელმძღვანელს ვიხილავ, ვიშუშოთ იმაზე, რომ ეს თეატრი პროფესიონალურ თეატრად იქცეს, სახ-

ელმწიფო სტატუსი მიენიჭოს. არც ერთ რაიონს, შეიძლება, შესტაფონმა გვაჯობოს, იმდენი თეატრალური მოღვაწე არ აღუზრდა, როგორც სამტრედიას – ეროსი, რობერტ სტურუა, აკაკი კვანტალიანი, იმედო კახიანი, ჯემალ დადანიძე...

თავად თვლით თუ არა, რომ სამტრედიელი ხართ?

ჩემთვის მნიშვნელოვანი და მთავარი არის ღირსი. გულის შეკუმშვამდე მიყვარს. რომ ჩამოვდივარ და დაკეტილი სახლი მხვდება, გული მტკიავს. დანირში არასდროს მიცხოვრია, მაგრამ არ გასულა წელი, ზაფხულის ერთი თვე მანც იქ არ გამეტარებოდა, დღეში ჩაყიდული ბადით ღორჯობი და კიბორჩხალები არ დამეჭიროს, დღეები არ დამეხნოს, ღორები არ დამეგოს, თხრისზე გადახტომისას შიგ არ ჩამეფურთხებოდა – უშურო, გემყარე, უშურო, გემყარე, უშურო, გემყარეთი. ამიტომ, ღირსი ჩემი სიტბო და სიყვარულია. ახლა რომ ჩამოვდივარ, მოსახლეობას ვხა პქონდა გადავკეტილი, ამის დადგმას აპროტესტებდნენ. რომ დაგვიანახეს, გადარიგებენ, მოგვესიყვარულენ. მე ბატონ ჯემალს როგორ გავბედავ და შევედრები, მაგრამ ერთმა ქალბატონმა განსაკუთრებული სიტბო გამოხატა. დანირში ყველაზე დიდი სიყვარული იცინა. რა მოსაფერებელი მე ვარ, მაგრამ ჩემი და მიყვარს, ხომ გავიგონია...

სამტრედიოში კვირბაობით ჩამოვდივით. “პრიტვა, რუმიანა, დეხადორი, ლილა, ლილა, ტუფლის მანი!” – ბოშები არასდღეს ამოივია მესხიერებიდან. რომ გავიგებ სამტრედიელია, სხვა დამოკიდებულება მიჩნდება, ჩემიანია! რამდენი დასახლების გაკეთებული კერძები არ უნდა გავსინჯო, სამტრედიელისას სხვა შიშხათი აქვს და გამოვიცნობ. მიყვარს სამტრედიაც, მაგრამ თბილისში, პლუხანოვზე გაზრდილი ბიჭი, რასაკვირველია, ღირსი ვარ!

თქვენი შვილი ჩამოვა აქ ღორჯობის დასაჭერად?

ფეხმძიმედ რომ იყო ჩემი მეუღლე, ზურგზე მოკიდებული გადამყავდა ცხენისწყლის ერთი ტოტიდან მეორეში. ასე რომ, იდეურად უკვე ნამყოფია და მომავალ ზაფხულს აუცილებლად ჩამოვა.

ნათობა ნაცვლითობაში

“გამ ლაგაზ სანაჲ ეითოულაჲ გელგა თორიჲით”

27 სექტემბერი ჯვართამაღლების დღეა, 1993 წლის ჯვართამაღლება საქართველოს ისტორიაში უმძიმესი ტრაგედიით შევიდა. ამ დღეს დაეცა აფხაზეთში საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის უკანასკნელი ციტადელი – სოხუმი...

1993 წლის ოქტომბერში, ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში გაზეთი “საქართველო” წერდა: “მისი სიკვდილით უნდა დამთავრდეს ლაპარაკი კომუნისტურ და არაკომუნისტურ საქართველოზე, რადგანაც ყოფილმა პარტიულმა ფუნქციონერმა დემეტრე თავდადებულის საღარი გმირობა ჩაიდინა”.

ჟიული შარტავა იყო ის ადამიანი, რომელმაც დღეს გადასახედდნ ჩვენთვის მიუღებელი სისტემისა და შესაბამისი სტრუქტურების პირობებში მოახერხა და უანგაროდ გააკეთა ერისათვის, ხალხისთვის საჭირო დიდი საქმეები.

თანამედროვეთა თქმით, ვინც ჟიულის კარგად იცნობდა, ოდნავადაც არ გაჰკვირვებია მისი სიცოცხლის გმირული აღსასრული, რადგან თავისი ცხოვრების წესით, ჭეშმარიტი პატრიოტული სულით არნახული სიმტკიცითა და შეუპოვრობით, მინდობილი საქმისადმი ფანატური ერთგულებით, ყოველთვის ატარებდა იმ მუხტს, რომელიც შესაბამის ვითარებაში შეიძლება, გმირობის საწყისი გამხდარიყო.

იგი იყო საქართველოს იმჟამინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის (შემდგომში ტექნიკური უნივერსიტეტი) კომპაგნიის კომიტეტის მდივანი, კომპაგნიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, როგორც ამბობდნენ, იმ თაობის უალტერნატივო ლიდერი.

მას მრავალწლიანი ურთიერთობა და საქმიანი შემოქმედებითი კავშირები ჰქონდა ინტელიგენციის მრავალ თვალსაჩინო წარმომადგენელთან: ეროსი მანჯგალაძესთან, თემო გოცაძესთან, სანდრო მრეველიშვილთან, მორის ფიცხიშვილთან, გურამ ფანჯვიძესთან, ჯემალ სეფიაშვილთან, ნოდარ დუმბაძესთან, გოგი შხვაცაბაისთან, ჯანსუღ ჩარკვიანთან, მუხრან მაჭავარიანთან, ალექსანდრე ბასილაისთან, იაშა ბობოხიძესთან, გიორგი წულაძესთან, გოგი ავსაჯანიშვილთან, ბორის წიფურაიასთან და სხვებთან, რომელთა შემოქმედებით ნიჭი და უნარი აქტიურად გამოიყენა ახალგაზრდული პრობლემების გადაწყვეტის პროცესში.

დიდია ჟიული შარტავას დამსახურება ახალგაზრდა მეცნიერთათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნის, ხელოვნების, კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში. ყოველდღიური პრობლემებით გადატვირთული იგი ახერხებდა, პირადად მიეღო მონაწილეობა მათ წინაშე მდ-

გომი პრობლემების გადაწყვეტაში. ჟიული შარტავამ ქალაქ რუსთაველი მერად მუშაობის მოკლე პერიოდში შეძლო ის, რაც ათეული წლების განმავლობაში არ გაკეთებულა.



მადლიერმა რუსთაველებმა შემდგომში ის პარლამენტის დეპუტატადაც აირჩიეს, გარდაცვალების შემდეგ – დეგლიც აუგეს.

მწერალი გურამ ფანჯვიძე 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს შეხვედრია აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ჟიული შარტავას და უთქვამს, ქალაქი მტერს აქვს აღებული, იქ წასვლა არ შეიძლებაო, თუ შეასწრებდა მინისტრთა საბჭოს შენობაში, იქიდან გარეთ ვეღარ გამოვიდოდა. “აუუსენი ის, რაც თვითონაც კარგად იცოდა. მაინც წავიდა შეგნებულ სიკვდილზე, ჩემი აზრით, მას არ სურდა ყოფილიყო აფხაზეთის გაქცეული მთავრობის თავმჯდომარე”.

სოხუმის დაცემამდე ორი დღით ადრე, 25 სექტემბერს, მეგობარ, რობერტ ლარიაშვილს სატელეფონო საუბარში განუცხადა: “ბოლომდე ვიბრძოლებო, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია, ისეთი ბიჭები იხოცებიან, ძნელია, ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი”.

ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ის კადრებია, რაც მთელმა საქართველომ ტელევიზიით იხილა: როდესაც ჟიული შარტავა, სეპარატისტებით გარშემორტყმული, სიკვდილს უყურებდა თვალეში, მაგრამ ამჟამად და წელგამართული, უშიშარი კვლავ ფიქრობდა, როგორ აეცილებინა განსაცდელი თანხლები თანამებრძოლთათვის.

გალაქტიონ ნაჭყვიაბა იგონებს: “ბრძოლის მიმდინარეობის როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით, თავისი ელემენტარული უსაფრთხოებისათვის, ბატონ ჟიულის, მის თანამებრძოლებს და დამცველებს მთავრობის სახლი უნდა დაეტოვებინათ 26 სექტემბერს ან 27-ში დილით მაინც, მაგრამ ეს იქნებოდა დამატებით ათასობით ადამიანის უცილობელი ტრაგედიის მიზეზი. მისი დარჩენის, მთავრობის სახლის წინააღმდეგობის გაგრძელების შედეგად 27 სექტემბერს, 14-15 საათამდე, სოხუმის დასავლეთ ნაწილში –

შუქურაში, ზღვისპირა ზოლში და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებ ათასობით ადამიანს ასეულობით ჯარისკაცს, შესაძლებლობა მიეცა კელასურისა და მერხეულისაკენ წასულიყო, იქ მოსალოდნელი ჯოჯოხეთი აეცილებინა შემდეგ კი, სვანეთის “სამშვიდობო გზას” გასდგომოდა”.

ახლობლების გადმოცემით, ჟიული შარტავას საოცრად ჰყვარებია ღაღო ასათიანის პატრიოტული ლექსების წარმოთქმა, ასევე მირზა გელოვანის სტრიქონები:

“და სადმე ტყვია თუ გააცივებს გულს სამხიელი განადგურებით, თქვენ მაპატიეთ, პო, მაპატიეთ, დანაშაული არდაბრუნების”.

მისი გმირობა უდიდესი ქართველი პოეტის შთაგონების წყაროდაც იქცა. შოთა ნიშნინაძემ მისი გმირობა ამ ლექსით უკვდავყო:

“მაგ ლამაზ ტანზე ერთგულება გადგა თორივით...”

ბევრმა ვერ გიცნო, შენმა ერმა კი გმირად გიცნო, “ტროას ცხენისგან” დაკებნილი და დატორილი...”

2004 წელს, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გამორჩეული გმირობისათვის საქართველოს ეროვნული გმირის უმაღლესი სახელმწიფო წოდება მიენიჭა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, გენერალ-მაიორ ჟიული შარტავას და დაჯილდოვდა ეროვნული გმირის ორდენით.

ჯერ სიბერისთვის არა სცდები...

ლევან გაბაჩიაძე

პეშმი დატეული წყლივით გაპარულან წლები, თუმცა კაცზე, ვისზედაც ახლა ვწერთ, ვერაფერი დაუკლია, სიბრძნე, სიღირსი და გამოცდილება კი უზვად მიუცია. იგონებს მძიმე ბავშვობას, დედისამარა დარჩენილი ოჯახის თბილისურ წლებს. მერე ისევ მშობლიური დიდი ჯიხაიში, ყაზბეგის სკოლა, ამავე სოფლის საშუალო სკოლისაკენ მამაკალი ფეხით გასაჯული გრძელი გზა: პატარა დას ხელში ავიყვანდა, ზამთარში ფეხზე გავიხდიდი და ცივ გუბებში ისე გავიდიდი, რომ არ დამგვიანებოდა.

მოსწავლე?

მოსწავლე შესანიშნავი, ბეჯითზე ბეჯითი, იმდენად კარგი და საამაყო, რომ წლების შემდეგ, როცა ამ წერილის ავტორი მის მშობლიურ ყაზბეგის სკოლაში მივედი სამუშაოდ უფროსი თაობის პედაგოგები მოსწავლეებს ეუბნებოდნენ, ამ სკოლაში გიგანტი ბიბლიოთეკა, მძინარე კონსერტები, ვიტალი დიდიმი... გაიხარდნენ და ტრადიციები შეუნარჩუნეთ ყაზბეგის სკოლასო. ჰო, დიდხანს ახსოვდათ, ახლაც ამაყობენ ყაზბეგელები იმით, რომ ეს სკოლა სხვა დირსეულადამიანებთან ერთად გიგანტი ბიბლიოთეკა დაამთავრა.

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიან ამ კაცის თითქმის მთელი ცხოვრება დაკავშირებული, სოფლის შემდეგ აქ სწავლობდა, უნივერსიტეტის შემდეგ კი პედაგოგად დაუბრუნდა სასწავლებელს და კიდევ უფრო ამრავლა ის ტრადიციები, სასწავლებლის ლეგენდარულმა დირექტორმა პოლიკო მიქაძემ, იქ მოღვაწე პედაგოგებმა ნაყოფიერი შრომით რომ დაამკვიდრეს. სასწავლებლის ახალი კორპუსის მშენებლობა მის თვალწინ, მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა, ღია, საჩვენებელი გაკეთილებით, რომლებიც მამინდელი უახლესი ტექნიკის გამოყენების ფონზე ტარდებოდა, ზემდგომი ორგანოების მოწონებაც დაიმსახურა და...

ონებაც დაიმსახურა და...

წარმატებებს წარმატებები ემატებოდა, გამოცდილებაც მატულობდა.

შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ყოველივე ხელისუფლების თავკაცებს და მას დიდი ჯიხაიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აწინაურებენ.

სახალხო დღესასწაულ “ნიკორბას” ჩატარებას სათავე მის დროს დაედო, სოფლის საწრეტი არხების, საუკეთესოდ მოვლილი კარმიდამოს გამოსავლენად გაშლილ შეჯიბრშიც ერთსულოვნად აიყოლია თანასოფლელები და ცენტრალური განუთების ყურადღებაც მიიპყრო დიდ ჯიხაიშელთა თავკაცის უნარიანმა საქმიანობამ. უფურადღებოდ არ ტოვებდა მარტოხელა ადამიანებს, სოფელად არსებულ კოლმეურნეობებს სოფელში მცხოვრებ ომში დაღუპულთა დედებისათვის ყოველწლიური შემოსავლიდან წილის გაღებაც დააგადა.

შუალამისას, როცა ბევრი მისი კოლეგა საწოლში ნებებოდა, იგი სოფელს არაერთხელ შემოვივლიდა ხოლმე. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, იცოდა, ვინ როგორ სუნთქავდა.

ერთხელ, შუალამისას, ჩალით დატვირთული ურემი ადგილზე მიატანია ხელმძღვრეს, მოპარული რომ არ იყოს, შუალამისას ჩალას რატომ გამოიტანდი, სამუშაოდ დღე არ იყო? უკითხავს თავმჯდომარეს, იმ “შეთანხმებით”, რომ სოფელს არ შეატყობინებდა, ჩალა ადგილზე მიუტანია იმ კაცს.

თავგასულ მძღოლსაც ლამის ხონამდე სდია თურმე მანქანით, რომელმაც სოფლის შუაგულში მოძრაი მანქანიდან ნაკვით სავეტ ტომარა გადმოაგდო. ერთი სიტყვით, საკუთარი საქმეც მალე შეიყვარა სოფლის თავკაცმა და თანასოფლელებმაც შეიყვარეს არაბრძანალური, თუმცა, სამართლიანი, პრინციპული სოფლის წინამძღოლი.

ბევრი გაკეთდა, აშენდა სოფელში გიგანტი ბიბლიოთეკის პირველკაციობისას. შემდეგ კი ცეკავშირის სარაიონთაშორისო-სავაჭრო ბაზამ გადმოჰყავთ

დირექტორად. აქაც, ამ ურთულეს ორგანიზაციასაც მისი ხელი დააძწია. ზემდგომთა მადლობებიც არა ერთხელ დაიმსახურა. ბობოლა ჩინოფიციების მოგერიებაც უპრობლემოდ შეძლო (თურმე), რაკი სიმაღლე მის მხარეზე იყო და იმ ერთეულთა შორისაც მოხვდა, ცეკავშირის დირექტორიდან საყვედურისა და მოხსნის გარეშე რომ წამოვიდნენ.

აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეობა არ გახლდათ არც უბრალო თანამდებობა და არც ნაკლებ პასუხსაგები, ამდენად, კაცი, რომელსაც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ეს გრძნობა, ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, როგორმე წერტილი არ დასმოდა რაიონში, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების არსებობას.

დღესაც სინანულით, ზუსტი სტატისტიკის მოშველიებით გეტყვით, სად რამდენი კილოგრამი ჩაი იყრთებოდა, რამდენი სიმინდი, კომბოსტო... მოდიოდა, რამდენ ლიტრ რძეს წველიდნენ და გული სწვდებოდა, ყველაფერი წარსულს რომ ჩაბარდა.

პოლიტიკა?

როგორც ამბობს, მისი საქმე არაა, თუმცა, “გაგამხელ” და ვიტყვი, რომ დილით, როცა სამსახურში შემოვივლი ხოლმე, პოლიტიკოსთა მათგან ვცვლით და ჩვენივე შეფასებებსაც თამამად გამოვთქვამთ.

ოჯახი...

სამაგალითო ოჯახი ჰყავს ბატონ გიგანტის, ერთგული მეუღლე, შვილები, შვილიშვილები ულამაზებენ სიჭარბეების წლებს. როგორც ყველა მამასა და ბაბუას, გული სწვდება მასაც უფრო მეტი შვილიშვილი რომ არ ჰყავს, თუმცა, არა უშავს, შვილთაშვილები, მისი შვილები ეყოლება უფრო მეტი და გამრავლებიან კარგი ქართველები, ერისკაცები.

ოჯახში...

მოუხვევარი და დაუღებარია. ფულკარივით მშრომელ კაცს ფულკარიც ჰყავს, ბაღ-ბოსტანის მოვლაც უყვარს და



ბილეს ბატონ გიგანტის: “ფიგურალურად რომ ვთქვათ, სახელს ამართლებს. მუდამ ძიების პროცესშია, იშვიათად ნახავთ მოცლილს. რამდენიმე წლის წინ გავიგე, გიგანტი ბიბლიოთეკის 75 წელი შეუსრულდა. ცივად უარვყავი, რაღაც გეშლებათ, 65-ის იქნება-მეთქი. ვერაფრით “მიუუსადაგე” უზომოდ ენერგიულ, დაუცხრომელ პიროვნებას სოლიდური ასაკი.

ახლა კი... 80 წელი ნამდვილადაა მისთვის თავმოწონების საბაბი. ბედნიერი მამისა და ბაბუის სასახელოდ უნდა ითქვას, შთამომავალთა აღზრდაში ჩადებულ შრომას ფუჭად არ ჩაუვლია, დიდ-პატარას წარმატებით მოგვრილი სიხარულით განებიერებულია. რედაქციის ხშირზე ხშირი სტუმარი მუდამ ინტერესდება თანამშრომელთა ავ-კარგით. — ზოგიერთ საგაზეთო სტატეას ორჯერ ვკითხულობო, — საიმონებში გვიხიარებს შთამბეჭდილებას. ერთს ვისურვებდი, მისი სახით დიდხანს ჰყოლოდეს “სამტრედიის მაცნეს” ერთგული გულშემოტკივარი.

იღვებდებოდა, ბატონო გიგანტი, მაგრამ დღე გრძელად არასდროს მოგვჩვენებოდა!

რისთვის გავისარჯეთ, რატომ დავწერთ ეს წერილი?

ასაკი ჰკითხეს ერთხელ, ოთხმოცს ვასრულებო, უპასუხა, ვერ დავიჯერებთო და გინდ დაიჯერე, გინდ არაო...

ვიხუალურად ნამდვილად არაფერი ეტყობა 80 წლის, “დოკუმენტები”, ცხადია, არ მომითხოვია, ვენდე მის სიტყვას და...

უდიდესი პატივისცემით, სიყვარულით ვულოცავთ სახელოვან ქართველს დირსეულ იუბილეს, წელთა სიმრავლეს, სულის მხნობას, მზებრძოლობას ვუსურვებ მრავალრიცხოვან მონაგართან ერთად და მისი თანასოფლელები ცნობილი პოეტის, გიორგი კაკაბიძის ლექსის პერიფრაზით დაგასრულებ მასზე წერას: “კვლავ შემართებით ზედეი ასისებს, სულ რომ დღე იყოს, გინდა ძალიან, ჯერ რა იცოცხლე, რა გააკეთე, ჯერ სიბერისთვის სადღა გცალია? გილოცავთ, ბატონო გიგანტი!”

“სასაგლ-დასაგალი” გაიოქმინებულ “ჭალადილდის” წერილის-გაიოქმინება

შოთა ამბობს: “გრძელი სიტყვა, მოკლედი ითქმისო და ასევე მოგახსენებთ...”

...მოვლინება შოთაის სულისა, არუნდა მოიანზრებოდეს ბაღლად რჯულის მსახურებასა-თთანა... რამე-თუ სიდიადე მისი, — ღვთისამოსაობა, — ღვთისამმეურებითა, — იმოდენ სიფრცხვანოვანია, რომ ადამის მოდგმის გენეტეკურ შესაძლებლობის მწვერვალად გვესახება, ანუ — “ზნეადამიანად”... ამდამსც, საოცრად წარმოვივლიდგენს მშეტის-მშეც სიღრმისეულ “ორი-ორთა” საკითხავს, ესე იგი, ამქვეყნიურობას... და რაც შეეხება “წმინდანად შერაცხვას”, უმორჩილესად ვთხოვთ: — ესოდენ ბუმბერაზ გენიას

ნუ დაგამცირებთ, — ჩვეულებრივ მოკვდავთ რრიგითმ წრებრუნვის ყოფითმზრუნვამოთხოვნილობა

— აღტკინებული “სკვინტილიან” ცრემლებით... ცხადია, მშწამს განგების — უზენაესობის. რომ ერთადერთი იმედი-არსს ჰხსნისა ცოდვისაგან... — და არამსც “საწუთროს”, — ... “უარეს — უმჯავებობის”... “ლაბირინთის” აქამსცდა-მოდარაჯ-მეთვალყურე”... — მოგესხენებთ, უადრესად სწორუპოვარი გამოთქმა: — “როცა სული ხარობს, — ხორცი ჭნება, — როცა

ხორცი ხარობს — სული”... — ნუ მიწყენთ, რომ შოთას ნათქვამით მსურს ეს ჩემი-მოკრძალებული

წერილი დავასრულო: — “სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა”.

“სცან თავი შენი”

...ერთი — ჰყოვლითავმ, მუდამ მცდარნი ვვარსნთ... არც არსებობს ახსნად რრამ-გზა; ჯურღმულსმინა ბნელს ჩაკარგულებს, ზენამ უცნ-რრამ მოგვისამზა... თვალთვალს მზისას ცრემლებს ვვატან, იქნებ ზესენელს მოგვახლო — თავპირს მინგრევს შავი ტალღა, — ვაი ჩემო სულის სახლო — ირგვლივ ყველაფერი ჰმურავს, — მომისაგადა ჰზე-ჰზე მზერით... მმე-მმეხმანა ცისარტყელა, — თითქოს შვიდფურს მივკვეყ ზევით, სულს ენება იქ დარჩენა, რრახანია აქ არ ვცხოვრობ... საცნაურ ჰვემზირს უცნაურად, — რრადმმე, თვის-თავს ვცნობდეთ მხოლოდ.

წმინდა — საქმენი, რეგვენათოს გახლავსთ მიუღებელი, — რამე-თუ “ხალხად” “ძილეთი” დაღავს” შეუენებელი; მათგან მლანდღველი იგივეა თუნდა მქვებელი... — ...გესამძიმრებთ, წარმავალი, — თთან ..”მკვალტის მხლებელი”... ოხერ — უფ-ურთთან ვერ — განვემორე” წყენას თუ ნაღველს, — ვეებ — და — ვეებ ჩემსხედ — მეტს — უფრო ვარამის მნახველს ...უკეთურება “თავ-გამოდებით, ვერ “იხვეჭს სახელს”, — თავდადებული ქებულობს, რადგან “თვით საქმე ამხელს”, ერთსულოვნებით, საყოველთაო ვვერმეკერბა, მრთელი, — კაცი — კაცისთვის, ნათქვამია, — გახლავთო მეგელი... “ცხვირი რომ-არა აგრემსც, — თვალისცო, თვალისსა მტერი”, — ...სული იტირეთ!... — არამსც-თუ გვამი მიწა და მტვერი.

...დილითა მმირქმად უფალს, მზოვევად, — მკვალე მმისი... — ...ცხოვლად, პირმავს-თან-ჰვეა ქვეყენელს ვვალად თვისისი... — ცით-ამმე-ანთებულნი, — ჰქრება არც-არრა,-რრისი, საწუთროსჰმინ მმარე, სული, შესაბრალემ, ერთ — რრაობის გზისი; ზესენელს იღუმალი, ...”იქმ”... — “მეოხე თვალი” ცხადობს შესატყვისი; ...მზე, რამე-თუ ირგვლივ, ცას-ჰსხზე მმევა-მმოვა, — ჰჰამად წამის ჰწელვამ, ვვით ამმე “ზომა ჰჰოვა” ჰბრუნვა, — წრეჰკვალ ჰსრბოლა, — კაცითა სულთდამცრომმა... — ცოდვა — წვალჰბა-თთან, ჰირთთვან, ღმრთისადმ წწრომმა ძალსჰმემდმ ჰვემორავს... ნნათლსსა... ჰკვირდეთ, რრათა, — რრომმა ცოცხლივ ერთურთ ჰსჰამა, — “ერთურთს ჰსჰებრზედ “ძილმა” ...ვაგლას “ჰკვდომამდჰბადობამან... — ჰბადობა-და-ჰკვდომა”. ვაგლას.

სწავლა ზამნა

სონეტი

პროზაული ფასი

მეუღლის ხსოვნას
მე არაფერი არ მაკვირვებს გარდა ერთისა, რის გამო დღე-ღამე ობლად ყოფნა გამიხდა ძნელი, შენს გარდა გული სხვას ვერავის ვერ შეუთვისა და დავიწყება შენი გახდა შეუძლებელი. ორივე დაგვრით წაგებული ამ ერთეულებით, ორივე ერთად, გავლილი გზით ნარეკლიანით: მე — მარტოსული — დონიხობის გაბედულებით, შენც — მუდამ ჩემი ჰირ-გარამის თანხიარი. შენს მწარე ზვედრზე მე თუ დღეს მტანჯავს ფიქრები, შენ იქ, სიხმარში ცრემლით სახე გადაბანე, რატომ და რისთვის? — არ მივითხავს, ახლად ვხვდები, დავავიანე, შენთან მოსვლა დავავიანე! ეკ, ერთეულებას თურმე მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, თუ შხამს არ გასმევს სიცოცხლეში გამოწვიდის თასით.

ინჰარი!

ინჰარი! — სიყრმის წლებიდან წესიც მოგდევს და ადამიც, კარს მოგვდგომია მაცდური დიმილით ოთხმოცდაათი. ინჰარი! დღე-ღამე ინჰარი, ფიქრის, დარდის დრო სად არის? მე მშვიდად ყოფნა მწყურია და არა გულში ხანძარი. მუხას ხომ ბევრჯერ ვეკვდრე, თიმეზე რომ გადმომათოვა. — დამეხსენ, შენ შემოგველე! მაგრამ ყურიც არ მათხოვა. ახლა კი შენ გიხოვ, უფალო, ცად აჰყოვლილი ხელელებით: ცოტა ხანს კიდევ მაცოცხლე დრემდე უთქმელი ლექსებით.

სწავლა ზამნა

მინა □ მაჩხერა

პოეზიით ოპტიმიზმის გოლოვდა

მეცხოველეობის განვითარების საქმეში მთავარია მტკიცე საკვების ბაზა. ჩვენში ამ მიზნით საჭიროა ვითარების მრავალწლოვანი საკვები ბალახები (პაროსნებიდან – იონჯა, სამყურა, ესპარციტი, კურდღლისფერხილა, გიგო და სხვა), მარცვლოვანებიდან – კოინდარი, სათითურა, მდელიოს წივანა, უფხო შერეულა, მდელიოს ტიმოთელა, კაპუტა, ჭანტა, მრავალწლოვანი ჭვავი) და ერთწლოვანი კულტურები (სიმინდი, სოია, ქერი, შვრია, სულანურა, სორგო, თალგამურა, ტურნეფსი, საკვები კომბოსტო, კოლრაბი, მიწაგაშლა, საკვები გოგრა, ყაბაყი (გოგრულა), საკვები სახამთრო, რაფსი, ჭვავი და სხვა.

ჩვენს პირობებში მრავალწლოვანი საკვები ბალახების თესვის ოპტიმალური ვადა სექტემბერი-ოქტომბერია. თუ ამ ვადაში დაეთესა ერთწლოვანი, მათ ზამთრის დადგომამდე კარგად ვითარდება, ძლ-

ეირდება და სარგებლობის პირველ წელს უკვე მალაღ მოსავალს გვაძლევს.

მრავალწლოვანი ბალახები შეიძლება დაეთესოს სუფთად და ნარევის სახით. ნარევი თესვას მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე სუფთა ნათესებს, თესვის მარცვლოვანი და პაროსანი ბალახების მიერ ფართობის ერთეული უფრო მაქსიმალურად არის ათვისებული და მეტ მოსავალს იძლევა, ამასთანავე მდებარე საკვებიც მალაღუეთიანია, ცილებით, პროტეინებით მდიდარი.

მრავალწლოვანი საკვები ბალახების თესვის ნორმები: იონჯა 15-18, სამყურა 15-18, კურდღლისფერხილა 10-12, კოინდარი 30, სათითურა 35 კილოგრამი ჰექტარზე.

ჩვენ ვურჩევთ გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებს მრავალწლოვანი მარცვლოვანი და პაროსანი საკვები ბალახები ვითესონ ნარევის სახით.

კარგ შედეგს იძლევა: იონჯა-კოინდარის, სამყურა-მრავალ წლითი კოინდარის, კურდღლისფერხილა-სათითურას და სხვა ნარევის თესვა.

მრავალწლოვანი საკვები ბალახები კარგად დამუშავებულ ნიადაგს, სარეველებისაგან სუფთას მოითხოვს, მათი კარგი წინამორბედაა სათიხნი კულტურები (სიმინდი, სოია, სახამთრო, გოგრა და სხვა მარცვლოვანი და პაროსანი კულტურები).

საჭიროა, მრავალწლოვანი საკვები ბალახებისათვის შეირჩეს ისეთი ნაკვეთები, სადაც ზამთარში წყალი არ დგება. ნიადაგი 18-20 სანტიმეტრის სიღრმეზე უნდა მოიხნას.

ნიადაგის მოხვნის წინ უნდა შევიტანოთ აზოტი 30 კილოგრამი, ფოსფორი 90 და კალიუმი 60 კილოგრამი სუფთა ნივთიერების მიხედვით.

საკვები მრავალწლოვანი ბალახების თესლი ძალიან წერილია და ამიტომ ნიადაგში თესლი ღრმ-

ად არ უნდა მოვაქციოთ, ჩათესვის სიღრმე თესლისა 2-3 სანტიმეტრს არ უნდა აღემატებოდეს, რითვისაც საჭიროა ნიადაგი კარგად დამუშავდეს, გაფხვიერდეს, ზედაპირი კარგად მოსწორდეს დისკობიანი ფარცხით და ზიზგების გამოყენებით.

თესვა საჭიროა ჩავატაროთ სპეციალური მანქანებით და თუ ასეთი არ გვაქვს, მანქანებით შეიძლება გამოვიყენოთ ხორბლის სათესი მანქანები, რისთვისაც საჭიროა მისი სათანადო თესვის ნორმზე დაყენება.

თუ მრავალწლოვანი საკვები ბალახებს დროულად ოქტომბრის ბოლომდე დაეთესათ, იგი კარგად ვითარდება და ნორმალური დგომის საფარს ქმნის და მაქსიმალურ მოსავალს ქმნის. ერთხელ დათესილი 4-5 და მეტ წელს მალაღ და ყუათიან საკვებს იძლევა.

პენის კახიანი
საჯარო სკოლის მასწავლებელი

ტემპერამენტი, ხოვოც ზიხონური რინამიკის მახსიათებელი და მისი ციზოროცია

ტემპერამენტი – ადამიანის ინდივიდუალური მახსიათებელი, რომელიც განაპირობებს ფსიქოლოგიური პროცესებისა და ქცევის მიმდინარეობას. დინამიკაში მოაზრებს ტემპს, რიტმს, ხანგრძლივობას, დროში განხორციელების, მილიანობაში ემოციონალურ პროცესებს, ასევე, ადამიანის ქცევის განსაკუთრებულ შინაგან მახსიათებლებს – აქტივობას, რეაქციის სიჩქარეს, მის შენელებას და ა. შ.

ტემპერამენტი პიროვნულობის დინამიკას ახასიათებს, თუმცა, იმავეს ვერ ვიტყვი მის დარწმუნებულობაზე, შეხედულებებსა და ინტერესებზე. იგი არ გვევლინება დირექტულებებისა და ნაკლებად მნიშვნელოვანი მახსიათებლების მაჩვენებლად, არ განსაზღვრავს მის შესაძლებლობებს.

შეიძლება შემდეგი სახის კომპონენტების გამოყოფა, რომელიც ტემპერამენტს განაპირობებს და განსაზღვრავს:

1. ფსიქოლოგიური აქტივობისა და ადამიანის ქცევის საერთო აქტივობა გამოიხატება მოქმედების სხვადასხვა სახეობების მრავალფეროვნებაში, შეისწავლოს და გარდაქმნას გარემომცველი და არსებული გარემოებები, გამოავლინოს საკუთარი თავი განსხვავებული კუთხითა და ქმედებით. ქცევის მახსიათებლები ადამიანებს განსხვავებული აქტივობის მქონეებიან. შეიძლება აღვნიშნოთ ორი უკიდ-

ურესობა: ერთი მხრივ ინდივიდუალულობა, ინერტულობა, პასიურობა და უინტერესობა, მეორე მხრივ კი – დიდი ენერჯია, აქტიურობა, ენება და მიზანდასახულობა ქმედებაში. ამ ორ პოლუსს შორის დგანან სხვადასხვა ტემპერამენტის მქონე პიროვნებები.

2. მოძრაი აქტივობა გვიჩვენებს მოტორული აქტივობის აპარატის მდგომარეობას. გამოიხატება სიჩქარეში, ძალაში, სიმკვეთრეში, კუნთოვანი მოძრაობის ინტენსიურობასა და ადამიანის მეტყველებაში, მის შინაგან გამოხატულებასა და ენაწვლიანობაში.
3. ემოციონალური აქტივობა გამოიხატება იმპულსურობაში, ემოციონალურ გადაადგილებაში (მდგომარეობების სწრაფი ცვლილება, დაწყება და მათი დამთავრება), აქტივობასა და ფუნქციონირებაში, ქცევასა და მოქმედებებში, გააჩნია გარეგანი გამოხატულება. გარეგანი მტკიცე მახსიათებლებით შესაძლებელია ადამიანის განსჯა, ტემპერამენტის ნიშნების მიხედვით.

მეღებრძენმა ექიმმა ჰიპოკრატემ ჩვ.წ.ად.-მდე მე-5 ს-ში აღწერა ტემპერამენტის 4 ნიშანი, რომლებმაც შემდეგი დასახელებები მიიღო: სანგვინიკი, ფლეგმატიკი, ქოლერიკი, მელანქოლიკი. მათი ტიპოლოგია შემდეგნაირია: სანგვინიკს აქვს ძლიერი, გაწონასწორებული, მოძრაი ტიპი უმაღლესი

ნერვული აქტივობისა; ქოლერიკი – ძლიერი, გაუწონასწორებული, მოძრაი; ფლეგმატიკი – ძლიერი, გაწონასწორებული, ინერტული ტიპი; მელანქოლიკი – სუსტი, გაუწონასწორებული, ინერტული.

ყველაზე აქტიური ტემპერამენტი ქოლერიკსა და სანგვინიკს აქვთ, მელანქოლიკებსა და ფლეგმატიკებს პასიურობა ახასიათებთ. უფრო ციკხალი და მოძრაი ადამიანები ქოლერიკები და სანგვინიკები არიან. ამასთანავე, ქოლერიკი ყველაზე გაუწონასწორებელია მათ შორის და ეს როგორც გარეგნულად, ასევე შინაგანადც ეტყობათ. სანგვინიკი შინაგანად გაწონასწორებულია, თუმცა, გარეგნულად ძალიან ემოციურიც შეიძლება იყოს. იმის მიხედვით, თუ ვინ რომელ ტიპს მიესადაგება, შეიძლება განვსაზღვროთ ადამიანის რეაქცია წინააღმდეგობის შეხვედრის მომენტში: ქოლერიკი ანადგურებს წინააღმდეგობას, სანგვინიკი უმკლავდება, ფლეგმატიკი ვერც კი ამჩნევს, მელანქოლიკი კი მის წინაშე უძღვრდება.

ჩვეულებრივ, 4-ე ხიროთადი ნიშნის ქონა ერთ ადამიანში არ გვხვდება. ხშირ შემთხვევაში 2 ტემპერამენტი სჭარბობს, ერთი ძირითადი და მეორე დამატებითი, თუმცა, ყველა ჩვენგანს 4-ე ნიშანი თანაბრად გვაქვს მიწოდებული და მისი განვითარება სიტუაციის შესაბამისად ხდება. ძირითადი, წამყვანი ტემპერამენტი უმეტესად სასიამოვნო ატმ-

ოსფეროში, საყვარელ ადამიანებთან სიახლოვისას ვლინდება. დამატებითი კი პირიქით – დაძაბული, კონფლიქტური სიტუაციებისას, როდესაც საკუთარი ინტერესებისა და აზრების დაცვა გვიწევს. მე-სამე ნიშანი ფორმალურ მდგომარეობაში, როგორცაა ორგანიზაციებში უფროსთან, ხელმძღვანელთან, თანამშრომლებთან, ან უბრალოდ, უცხო ადამიანებთან ურთიერთობისას. ამ ნიშანს უფრო როლური უნდა ეწოდოს, რადგან ადამიანი სხვადასხვა როლს ირგებს იმის მიხედვით, თუ რას ელიან მისგან და რა პასუხისმგებლობები ეკისრება. მეოთხე ტიპი ყველაზე იშვიათად ვლინდება, როგორც მოვლევადიანი რეაქცია სტრესულ სიტუაციებზე (მაგალითად, ფორმების კრაზი ან უცარი გათავისუფლება, განუკურნებელი სენი, ან ახლობელი ადამიანის დაკარგვა, რაიმე ტიპის სტიქიური უბედურებისა და ა.შ.) ასე რომ, ყველა ჩვენგანს შეგვიძლია შევესაბამოთ საკუთარი თავი 4-ე ტიპიდან გამომდინარე, იმის მიხედვით, თუ რომელი სჭარბობს და პასიურობს ჩვენს შემთხვევაში.

თავარ მაღლაძიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი

ზვარტიჟისი ჩინური მეთოდი ოსტეოპონდროზის, რადიკულიტის, ჰიპერტონიის და დიაბეტის სამკურნალოდ

ხერხემალთან და კიდურებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოცენებისას ტრადიციული ჩინური მედიცინის წარმომადგენელი ექიმები მიიჩნევენ, რომ ეს პროცესი შინაგან ორგანოებს შორის პარამონიის რღვევის შედეგია. ამ პარამონიის აღსადგენად ჩინური მედიცინა მეტად მარტვ და ამავე დროს საოცრად ეფექტურ მეთოდს ფლობს. ვარჯიშს ჰქვია "ოქროს მამალი ერთ ფეხზე".

ეს ტექნიკა ამსუბუქებს უამრავი დაავადების სიმპტომს, მათ შორის რადიკულიტის, ოსტეოქონდროზისა და შაქრიანი დიაბეტის.

თურმე ერთ ფეხზე დგომისას წონასწორობის შენარჩუნების პროცესში ადამიანი ზემოქმედებს ფეხისგულზე გამავალი ექვსი უმნიშვნელოვანესი შინაგანი ორგანოს არხებზე. აღნიშნული ზემოქმედების შედეგად, ბუნებრივია, ორგანოთა ფუნქციონირება უმჯობესდება.

როგორ უნდა შეასრულოთ ვარჯიში "ოქროს მამალი ერთ ფეხზე":

დადგით სწორად, გაიმართეთ, ხელები ჩამოუშვით სხეულის გასწვრივ, თვალები დახუჭეთ. ერთი ფეხი (მარჯვენა ან მარცხენა) მოხარეთ და აწიეთ (ისე როგორც სურათზეა აღნიშნული). ასეთ მდგომარეობაში იდგით რამდენიმე წუთი. შეეცადეთ, მაქსიმალურად შეინარჩუნოთ წონასწორობა. ამ დროს თვალები აუცილებლად დახუჭული უნდა გქონდეთ. ასე მხედველობით ფაქტორს არ ექნება დამხმარე საშუალების როლი წონასწორობის შენარჩუნებაში, შესაბამისად, მაქსიმალურად მოხდება ტვინის გააქტივება ფუნქციის დაბალანსებაზე.

ზოგჯერ ცალ ფეხზე მდგომ ადამიანს, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს წონასწორობა, ეწყება ტერფზე არსებული შესუსტებული არხების ტკივილი. ვარჯიშის შესრულება არ უნდა შეწყვიტოთ ტკივილის სიმპტომის მიუხედავად.

რით არის სასარგებლო ვარჯიში "ოქროს მამალი ერთ ფეხზე?"

ამ ვარჯიშის რეგულარულად შესრულებისას ადამიანი გრძობს ყურადღების კონცენტრირებას და ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას. დაბნეულობა და გაფანტულობა სრულიად ქრება. იმის გამო, რომ ვარჯიშის დროს აქტიურდება კიდურების სისხლის მიმოქცევა, ადამიანის მდგომარეობა ბევრად უმჯობესდება, კერძოდ, ისეთი დაავადებების დროს, როგორცაა: ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, ჰიპერტონია, შაქრიანი დიაბეტი და სხვა.

ვარჯიში "ოქროს მამალი ერთ ფეხზე" დიდ ეფექტს იძლევა ნათხემის ატროფიის, პოდაგრისა და მინიერის დაავადების დროს. აღნიშნული ტექნიკა მიკროცირკულაციის გაუმჯობესებასთან ერთად აძლიერებს იმუნიტეტს, შესაბამისად, ძალიან სასარგებლოა მათთვის, ვისაც კიდურები ყფინება. ვარჯიშის შესრულება შეიძლება სასიამოვნო მელოდიის ფონზე. დილით მისი შესრულება კი სიმხნევით ავსებს ადამიანს და კარგ გუნება-განწყობილებაზე აყენებს. ასე რომ სცადეთ!

mkurnali.ge

გიონდ დიჯერით, გიონდ არა

11 სექტემბრის ტრაგედიის შესახებ ყველა თქვენგანმა იცის, თუმცა, მიუხედავად ამისა, ალბათ, ბევრმა არ იცის იმ უცნაური დამთხვევების შესახებ, რომელიც ამ მოვლენას უკავშირდება.

1. სახელწოდება ნიუ-იორკი – New York City – 11 ასოსგან შედგება.
2. სახელწოდებაში ავღანისტანი – Afghanistan ასევე 11 ასოა.
3. იმ ტერორისტის სახელი, რომელმაც ჯერ კიდევ 1996 წელს დაგეგმა ეს ტერაქტი, იყო Ramsin Yuseb და მისი სახელიც 11 ასოსგან შედგებოდა.
4. ამერიკის იმპაინდელი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის სახელიც George W Bush ასევე 11 ასოს შეადგენდა.
5. ნიუ-იორკის შტატი, რიგით მე-11 შტატად არის მიჩნეული.
6. თვითმფრინვაში ნომრით 11, 92 ადამიანი იჯდა (9+2=11).
7. ტრაგედია მოხდა 11 სექტემბერს, ანუ 11.09 – 1+1+9=11.
8. ამერიკის გადაუღებელი დახმარების სამსახურის ნომერი არის 911, ახლა დამალეთ და ეს ციფრი 9+1+1=11.
9. აფეთქებული თვითმფრინავის ბორტზე მგზავრთა რაოდენობა იყო 254, ანუ (2+5+4=11).
10. 11 სექტემბერი წელიწადის 254-ე დღეა (2+5+4=11).

დაბოლოს, გაიხსენეთ თავად შენობის ვიზუალი, რომელ რიცხვს გაგონებთ იგი – შემთხვევით თერთმეტს ხომ არა?

Lady.ge

დღეა ნორა დუნდუა, მეუღლე ლეილა ნუცუბიძე, შვილები ამირან, მარიამ ჯღარყაყაიძე იუსეფიანი, რომ გარდაიცვალა

შობის ჯღარყაყაიძე

თანაკლასელები და მეგობრები მწუხარებით იუსეფიანი, რომ გარდაიცვალა

შობის ჯღარყაყაიძე

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.





7000 განცხადების

ეს იცოდით? _ საინტერესო და სახალისო ამბები

როცა ლუი პასტერი და მისი შვირ-ლები იგონებდნენ ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინას, მათ შორის ასეთი შეთანხმება იყო: თუ რომელიმე მათგანი დაინფიცირდებოდა, ის უნდა მოეკლათ რევოლუერის თავში სროლით, თუნდაც ეს თავად ლუი პასტერი ყოფილიყო.

2006 წელს ფირმა, "კოკა-კოლას" ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოიპოვა სასმელის რეცეპტი და ცდილობდა ის "პეპსისთვის" მიეყიდა. იქ არა მარტო უარი უთხრეს რეცეპტის შესყიდვას, არამედ



გამოძიების ფედერალურ ბიუროს და-სურვეს და შეატყობინეს დანაშაულის შესახებ. გააფრთხილეს აგრეთვე "კოკა-კოლას" ხელმძღვანელებს.

კომპანია Nescafe-ში სანამ ყავის შეფუთვას თავს დაახუფავენ, მას უმ-ატებენ ცოტაოდენ ყავის არომატინა-ტორს, სწორედ ამით აიხსნება ის სუ-რნელი, რომელიც ახალი ყავის ქილ-ის გახსნის დროს გვეცემა ხოლმე.



– გაგაფორმოთ ქართველებთან ხელშეკრულება? – გაგაფორმოთ, თუ სამტრედიამი ერთ მალაზიას ჩაგვადგეგინებენ!

22 სექტემბერს, 13 საათზე ტელეკომპანია იმონის გადაცემაში "ჩვენი შუადღე" მიწვეულია სამხედრო ფორუმი "დადი". მის ბედშემატვიხებს შეუძლიათ იხილონ ეს გადაცემა.

უაღიარებელი!

გაბრიელ ბიბიანიანი ბიბიანიანი!

ახლო მეგობარს, გაბრიელ ბიბიანიანს ეულოცავთ დაბადების დღეს, 80 წლის შესრულებას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ ცხოვრებას.

რეზან კანდელაკი, ალიო ბანბანი

გაგაფორმო!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მეგობარო, იმ ლექსებით სათნოს, სიყვარულით, დარდითა და სიხარულით სავსეს, თვითონ რომ ჰქმნი. იცოცხლე და იხარე; შენი ხიბლი არ მოკლებოდეს შენს სამტრედიას, შენი იმედი – შენს ოჯახს, მეგობრებს. დიდ ბედს სალოცავად გვაქვს პატარა ანდრია, მისი დიმილი გილამაზებს ცხოვრებას. დღერთმა გაგიძლიეროს შენი მონაგარი. სიკეთეს ეზვიმოს შენს სახლში. შემოქმედებითი წვა არასდროს გაგნელებოდეს. ჯანმრთელობა და ხალისი არ მოგაკლოს უფალმა.

მეგობრები

ქალბატონ გაგაფორმო!

გილოცავთ დაბადების დღეს. შემოქმედებითი წინსვლა და ოჯახური ბედნიერება თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი ყოფილიყოს!

"სამტრედიის მაგნე"

ქმნიან განხილვას!

ჩვენო მშვენიერო, ერთგულო, კეთილო და გულსხმიერო მეგობარო. გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში. მალე სრულიად გახარებული გვენახე.

მეგობრები

გურანდა ვიქსავს და პოტიო ბიქსავს! ქრისტინა დანელიას და გოგა ბიქსავს!

გილოცავთ გაბედნიერებას. ულავი სიხარული დაბედებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახებს. დღესაც მითხარი, ნუ გეფიქრება, დღესაც მარჯვენა იმედის სხივი...

გაუზუნარი სიყვარულით, შვილთა სიმრავლით, დოვლათით სავსე კერია დაგებელით.

გურანდას ქრისტინა დანელიას



რედაქციის მისამართი: სამტრედიის რაიონული ქ. №6 ტელ: 790 391839

მაგნე

დირექტორი ბექან გოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაჭავაძე
 გამომშვეები რედაქტორი თამაზ ბაბუნაშვილი
 პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი
 კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე